„ციცინათელას“
ბიბლიოთეკა

14

ავთანდილ არაბული

„ვეფხისტყაოსნის“ თავგადასავალი

სერიის
იდეა და პროექტი
დავით ბრეგაძისა

„ციცინათელა“
თბილისი, 2016

შპკ (UDC) 821.353.1.09-13
ა-759

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – ქართული სულიერი კულტურის გვირგვინი, საუკეთესო გამომხატველი ქართველი ერის საუკუნოვანი იდეალებისა და ღირებულებებისა – ის უკვდავი წიგნია, რომელმაც საქართველოს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ეს უძვირფასესი სიბრძნის წიგნი იყო და არის უცვლელი მეგზური ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ამ ისტორიის ასპარეზზე ხმლით, გუთნითა თუ კალმით გამოსული თაობებისა... იგი იყო გულის აბჯარი ქვეყნის დამცველთათვის, საქორწინო-საბედნიერო ოქროქსოვილი – დედათათვის, საიმედო ცისკრის ვარსკვლავი – ყრმათათვის...

ეს ნარკვევი სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არსებულ ფაქტებსა თუ ვარაუდებზე, პოემის საოცარ ისტორიულ „ცხოვრებაზე“ მოგითხრობთ.

წიგნის ავტორი ავთანდილ არაბული გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „რუსთაველის კომიტეტის“ სწავლული მდივანი. იგი ავტორია 200-მდე ნაშრომისა, მათ შორის 20-მდე მონოგრაფიისა, ლექსიკონისა და სახელმძღვანელოსი, არის მთავარი რედაქტორი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციისა (გამოვიდა 3 ტომი).

რედაქტორი
პარმენ მარგველაშვილი
რედაქტორ-გამომცემელი
აკაკი ბრეგაძე
ყდა და ტიტული
თეონა და გურამ ღლონტებისა

მხატვარ-დიზაინერი ილნარ გორელიშვილი
ოპერატორი ნათელა ტალახაძე

© „ციცინათელა“ 2016 წ.

სერია „ციცინათელას“ ბიბლიოთეკა
ISSN 2346-7622
ISBN 978-9941-9426-5-5



შოთა რუსთაველის ფრესკა (XII-XIII ს-ის მიჯნა) ჯვრის მონასტერში,
რომელიც 2004 წელს ჩამოფხიკეს ავისმქმნელებმა



შოთა რუსთაველი თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს.
მხატვარი მიხაი ზიჩი (უნგრელი ხელოვანი - 1827-1906 წწ.)

წინათქმის მაგიერ

ლეგენდების ვარდა, თითქმის ვერაფერს მოვუთხრობთ რუსთაველის შესახებ შთამომავლობას.

თუ არა რაღაც წინასწარი კონსპირაცია, შეუძლებელია, რომ ამ უზარმაზარი ჰოეტური შედევრის წარმომავლობის ყველა დეტალი ასე წაეშალა მწიგნობარი ხალხის ისტორიას – დაწყებული ავტორის ვინაობით და დამთავრებული ჰოემის სტრუქტურით.

დიახ, ამ გენიალურმა ავტორმა, რომელიც ჰირობითი სახელწოდებით (სახელითა და წოდებით) – შოთა რუსთაველი – არის ცნობილი, საიდუმლოების შარავანდედით შემოსა არა მხოლოდ ჰოემის შექმნის მოტივი და წყარო, არამედ თვით ავტორის რეალური მიმართებაც კი სიმბოლიზებული მოვლენებისადმი.

რამ გადაარჩინა „ვეფხისტყაოსანი"?

ცხადია, ჯერჯერობით არსებული ფაქტების მიხედვით, არა – წიგნთსაცავებმა...

ჰოემა გადაარჩინა ხალხის სიყვარულმა.

ამაში არ იგულისხმება მაინცდამაინც ის, რომ ხალხი ზეპირად სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს".

არა, ზეპირსიტყვაობამ შემოინახა მხოლოდ დამახინჯებული „ვეფხისტყაოსანი"; მაგალითად, ისეთი, როგორადაც ჟღერს ხალხური „ტარიელიანის" ერთი ფრაგმენტი:

ავდექი, ჯაჭვი ჩავიცვი.
მკლავი გამოვიყურთმაჯე,
წავედ, ჯარში გავერიე,
თავი მოვიყიზილბაშე.
ვინცა მკითხავს: „სად მიდისარ?"
– ცხენი გამომექცა მაკე.
სანეფოს კარავს მიუსტი,
ჩავჰკარ-ჩავაფურთულაკე.
სანეფოს თავი მოვკლიჯე,
ისიც ბოძზე მიუნაყე.

(ხალხური „ვეფხისტყაოსანი", თბ. 1937, გვ. 194).

როგორც ვხედავთ, ლექსი საკმაოდ ოსტატურად არის აწყობილი, მაგრამ ის მაინც ამრდილადაც არ გამოდგება იმ დიდებული ტაეპებისა, რომელთა გამომახვილი აშკარაა („ჩავჰკარ-ჩავაფურთულაკე", „თავი... ბომზე მიუნაუე" და სხვ.).

არა, ჰოემის ძირითადი ტექსტი იმათი ჰასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ გადაარჩინა, ვინც, როგორც ბიბლიურ ტექსტს, გადაწერის დროს ისე უფრთხილდებოდა, მოწიწებით ეპურობოდა დედანს.

როგორც „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებულ ყოველ საკითხს, ჰოემის სალხურობასაც აზრის ნაირგვარობა მოჰყვა: ზოგმა ჰოემის გახალხურება იყარაუდა, ხოლო ზოგმა, პირიქით, რუსთაველის წუაროდ სალხური „ტარიელიანი" მიიჩნია!

ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ ჰოემას საფუძვლად უნდა დასდებოდა სალხში არსებული ჰოეტური ამბავი, სავარაუდოდ, ზეპირი გზით შემოსული აღმოსავლეთიდან („ივერია", 1890, № 25).

გავიხსენოთ, როგორ გამოეხმაურა ამას ვაჟა-ფშაველა:

„ვითომ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შინაარსი, ფორმა, მოტივები ჰოემაში ლიტერატურულია და არა სალხური?!.."

„ჩვენს სალხს არ უყვარს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ლექსად ზღაპრები და ვერც იჰოვნით ქართულს ეროვნულს ზღაპარს გალექსილს. რაც გალექსილებია, ისინიც უცხო ნათესაისანი არიან (ბეჟანიანი, ეთურიანი და სხვ.)".

[აღნიშნული ამტკიცებს] იმას, რომ ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი" წინად ყოფილა გავრცელებული სალხში, სალხს შეჰყვარებია ჰოემა და, რაც დაჰვიწყებია ჰოემიდამ, ის თითონ უკეთებია და უმატებია" (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1961, გვ. 98-102).

ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისი, ცხადია, ნიკო მარის იმ „ინფორმაციაზეა" დამყარებული, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" სპარსულობას რეალობად წარმოსახავდა.

დაე, მკითხველმა მიიჩნიოს, რომ ამით (მხოლოდ ხახანაშვილის მითითებით) ტაქტიკურად ავარიდე თავი იმ გამოკონილ პრობლემაზე საუბარს, რომელზეც ისედაც ბევრი მელანი დაიხარჯა.

ორი ქვეყნის იგავი - მიზანი და შედეგი

საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის დიდი ნაწილი და, მათ შორის, „ესე ამბავი სპარსული...“ რუსთაველის კალამს არ ეკუთვნის. მაგრამ ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ ინფორმაციის ავტორისეულობა, ცხადია, მისი ყველაზე პრიმიტიული გაგება იქნებოდა პირდაპირი შინაარსით გადმოტანა, ვითომ ავტორი საკუთარი ნაწარმოების ლიტერატურულ წყაროზე მიგვითითებდეს.

მაშინ გონივრულია მივიღოთ იმათი აზრი, ვინც სიუჟეტური გაუცხოების ლიტერატურულ ხერხზე ლაპარაკობს, რომლის არსიც მხატვრული ნაწარმოების რეალობასთან კავშირის მაქსიმალურ გამორიცხვას გულისხმობს. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის მწერლის ლიტერატურული ალიბი...

ასეთ „დაზღვევას“ პოეტმა ამ სტროფის გარეშეც მიმართა, როდესაც პოემის „უცხოელ“ გმირებს ასპარეზად სხვადასხვა ქვეყნის (ინდოეთის, არაბეთის...) ფართო სივრცე მიუჩინა.

რად უნდა დასჭირვებოდა რუსთაველს ასეთი ალიბის შექმნა?

„ვეფხისტყაოსნის“ ორივე საბაზისო სახელმწიფოს - ინდოეთისა და არაბეთის - სამეფო ტახტის ერთადერთი ქალი-მემკვიდრის ანალოგია რუსთაველის ეპოქის საქართველოს ვითარებასთან ისე აშკარად იკითხება, რომ ამაზე, თანამედროვე ტერმინოლოგიით, „პოლიტიკური პასუხისმგებლობისაგან“ თავის არიდება მხოლოდ ასეთი სიუჟეტური გაუცხოებით თუ შეიძლებოდა.

ისტორია, ვფიქრობთ, ცხადად ადასტურებს, რომ საბოლოოდ არც ამ გაუცხოებამ გაჭრა და არც საქართველოს ისტორია წარიმართა ისე მწყობრად, რის შესაძლებლობასაც ქართველი ბრძენთაბრძენის წინასწართქმა იძლეოდა.

რას წინასწარმეტყველებდა შოთა რუსთაველი?

ვფიქრობ, შესაძლებელია უპირობო შეთანხმება ორ ლოგიკურ პირობაზე:

1. შემთხვევითი არ არის ის, რომ პოემის ფაბულა აგებულია ერთადერთი ქალი-მემკვიდრისა და მისი გამეფების პრობლემაზე;

2. შეუძლებელია (დაუჯერებელია), გენიალურ ავტორს ან რეალურ დამთხვევად ეგულისხმა ის, რომ პოემის ორ მთავარ სახელმწიფოში – ინდოეთსა და არაბეთში – ამ თვალსაზრისით (ერთადერთი ქალი-მემკვიდრე) ზუსტად ერთნაირი ვითარებაა, ანდა ეს უხერხულობა (მხატვრული გამონაგონის „კოპირება“) მის ოსტატობას რამენაირად გამოჰპარვოდა.

თუ ამას გამოვრიცხავთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სისტემური პარალელიზმი რაღაც მიზანდასახულებას ემსახურება, ანუ ავტორი ამ მსგავს პარალელურ მოდელებს რაღაც ლოგიკური დანასკვის მისაღებად გვთავაზობს.

გავიხსენოთ, რას მოიმოქმედებს არაბეთის ჭარმაგი მეფე-როსტევანი, როდესაც იგი მემკვიდრე-ქალისთვის სამეფო სკიპტრის გადაცემას გადაწყვეტს:

იგი საჯაროდ და საზეიმოდ აბარებს ქალიშვილს ძალაუფლებას;

იგი არ ეძებს უცხო უფლისწულს სასიძოდ;

ქალიშვილის გამეფებისთანავე იგი მოხერხებულად „შეურჩევს“ მას სამეფო მახვილის მტვირთველს – უპირველეს რაინდს.

როგორ წყვეტს ანალოგიურ ამოცანას ინდოეთის ასევე სვიანი ხელმწიფე – ფარსადანი?

იგი არ ჩქარობს ძალაუფლების ქალიშვილისათვის გადაცემას და ამ გადაწყვეტილებას აშკარად უკავშირებს დიპლომატიურ გარიგებას – სიძედ უცხოელი უფლისწულის მოწვევას!

ამ დრომდე ამ ორი ქვეყნის სვესვიანობა დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მეტიც, ინდოეთის სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი საყოველთაოდ აღიარებული ჩანს.

მაგრამ რა ხდება ამ დღის შემდეგ?

არაბეთი შეურყევლად განაგრძობს ძლევამოსილ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას – საშინაო წესრიგისა და საგარეო პრესტიჟის განმტკიცებას.

ხოლო ინდოეთი „გარდაქარების“ გზაზე დგება.

მეტიც: ხსნა არაბეთიდან რომ არ მოსულიყო, ძნელი სათქმელია, რით დამთავრდებოდა ეს ცთომილებათა დრამა ინდოეთისათვის.

მაშ, რა იგავური კვანძი გამოსკვნა ამით დიდმა მოაზროვნემ?

აშკარაა: მან დახატა მოვლენების განვითარების ორი შესაძლებლობა და ზუსტად წარმოსახა მოსალოდნელი შედეგები.

ჩვენ წინაშეა ზღაპრისმიერი არჩევანის ალტერნატივა: მარჯვნივ წახვალ – ..., მარცხნივ წახვალ – ...

თუ ავტორის ამ განაზრახს ისტორიულ კონტექსტს მივუსადაგებთ, ბუნებრივია ვიკითხოთ:

– როდის უნდა წარმოედგინა ავტორს ქვეყნის მომავალის ამგვარი მოდელირება?

ცხადია, არა თამარ მეფის აღსაყდრებისა და ჯვრისწერის შემდეგ, რადგან ამგვარი დაგვიანებული შეფასება-რეაგირება მხოლოდ უაზრო თავგამოდებად (თუ – ნიშნისმოგებად) იქნებოდა მიღებული.

არცთუ კარდინალური სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ეს „უკან მიდევნებული ლამპრის“ როლს თუ შეასრულებდა.

ამიტომაც ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ რუსთაველმა ეპიკური ჩანაფიქრის ხორცშესხმას მანამდე მიჰყო ხელი, ვიდრე თამარის გამეფებისა და გათხოვების საკითხი გადაწყდებოდა.

მაგრამ, ცხადია, არც იმაზე უადრეს, როცა ქვეყანაში (და – სამეფო კარზე) ტახტის მემკვიდრის პრობლემა რეალურ განზომილებას შეიძენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ხელოვნურია და გაუმართლებელია ხვარაზმშას (სასიძოს) მკვლელობის დაკავშირება დემნა ბატონიშვილის ტრაგიკულ ბედთან და მისთ. (თვით ავთანდილის ანდერძისეულ სიტყვებში - „შემინდევ და შემივედრე, მკვდარსა რაღა გარდმეხდევის!“ - დემნას შეწყალების თხოვნის „დანახვა...“).

ამდენად, ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურა უეჭველს ხდის, რომ მის ავტორს, შემოქმედებით (პოეტურ) მიზანდასახულებასთან ერთად, სტრატეგიული განაზრახიც ჰქონდა.

მიაღწია თუ არა „შენიღბულ“ მიზდასახულებას ავტორმა?

თუ მისთვის (და მისი თანამოაზრეებისათვის) იდეალად იყო დასახული არაბეთის ვარიანტი, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოვლენები საპირისპირო სცენარით განვითარდა. ამიტომაც ამ დროის ქართული მატიანე ვეფხისტყაოსნისეული ინდოეთის პერიპეტიებს მოგვაგონებს.

და რადგან მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც გენიოსი პოეტის სტრატეგიულ გეგმაში იყო, უკვე ლოგიკური იქნება ვიფიქროთ იმაზე, რა ბედი შეიძლება სწეოდა ამ აქტიური პოზიციის ავტორს. უფრო სწორად, ვიფიქროთ იმაზე, გაუმართლა თუ არა მას კონსპირაციის გეგმამ, რომელიც აშკარად მოვლენების არასასურველი განვითარებისთვის იყო მოფიქრებული.

ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ — არა, რადგან ისტორიული მოვლენების არასასურველი სცენარით განვითარებას შეეძლო იდეური მოწინააღმდეგე არათუ ასეთი მოდელირებული ტექსტის შიგნით, სრულიად უწყინარ იგავშიც კი დაენახა.

ზემოხსენებული შენიღბვა ალბათ ასეთი შესაძლებლობისთვის არც იყო გათვლილი, რადგან „მაღლად მხედ“ რუსთაველზე უკეთ ვის შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ გამარჯვებულებს კი არა, „დამარცხებულებს არ ასამართლებენ“ (ანუ თავის მართლების შესაძლებლობას არ აძლევენ).

ამდენად: რუსთაველის ეპიკური იდეა ეროვნული სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც მოვლენათა განვითარების ერთადერთ შესაძლებლობას უშვებდა (ე. წ. პირველ სცენარს). ხოლო სათქმელის მხატვრული შეფუთვა (შენიღბვა) ეპოქისათვის შესაფერის ეტიკეტს გულისხმობდა.

სად მთავრდება ისტორია და სად იწყება ლეგენდა?

რა ასაკის უნდა ყოფილიყო ამ დროისათვის ავტორი?

ერთი მხრივ, თუ უშრეტ პოეტურ ენერგიასა და ზეშთაგონებას გავითვალისწინებთ, ეს არ შეიძლება სიჭარმაგის ასაკი ყოფილიყო.

მეორე მხრივ, კოლოსალური ცოდნისა და სიბრძნის და სწორუპოვარი პოეტური ოსტატობის გათვალისწინებით, იგი დაუღვინებელი ასაკის ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

ვფიქრობ, იგი უდიდესი ეპიკური (და ფილოსოფიური) ამოცანის გადაწყვეტის დროისათვის, პირობითად, 30-35 წლის ასაკისა უნდა ყოფილიყო.

შევუფარდოთ ამას ისტორიის ობიექტური მონაცემი:

1178 წელს, როდესაც გიორგი III-მ ასული თანამმართველად გაიხადა, თამარი 17-18 წლის იქნებოდა (გავიხსენოთ, პოემის მიხედვით, ტარიელი 5 წლით უფროსია ნესტანზე).

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ თამარისადმი გენიალური პოეტის მიჯნურობის ლეგენდა, ერთი მხრივ, პოემის ფაბულის ხალხური ინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს, რასაც ალბათ „გარდამთქმელთა“ აქტიურობაც აძლევდა საზრდოს; მეორე მხრივ კი - პოემის პროლოგის, შესაძლოა არცთუ ავტორისეული, მონაცემები („თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული ვთქვენი ქებანი...“ და სხვ.), რომელთა მწიგნობრული გააზრებითაც XVI საუკუნისათვის უკვე ჩანს ჩამოყალიბებული თამარისა და შოთას მიჯნურობის ვერსია. მაგალითად, თეიმურაზ I დაჯერებით წერს: „სწვევდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა“.

ობიექტურად კი ავტორი ერთ-ერთი პოლიტიკური ბანაკის აქტიური წევრი და, შესაძლოა, იდეოლოგთაგანიც ჩანს.

მართლაც ნაირგვარი ფანტაზიის წყარო აღმოჩნდა დიდი მეფის ცხოვრება ხალხური შემოქმედებისათვის. ცნობილია, რომ ისტორიამ და, რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა იგი მითიური შარავანდედით შემოსა. ხალხის გამონაგონი ზოგჯერ მართლაც ზღაპრულ იერს იძენს. ერთი მესხური გადმოცემა, მაგალითად, ჰყვება, რომ თამარი შოთასაც ჰყვარებია და მის ძმასაც (ცხადია, ავტორს „ვეფხიტყაოსანი“ თამარისთვის მიურთმევია და პირველად მაშინ უნახავს!). შოთას რომ გაუგია, თამარი ჩემს ძმასაც უყვარსო, სპარსეთში გადახვეწილა. ამ დროისათვის შოთას ცოლიც ჰყოლია. მიტოვებულ ცოლს კაცის სამოსი ჩაუცვამს, უპოვია შოთა სპარსეთში და ორთაბრძოლაში დაუხოცავთ ერთმანეთი!

არაერთი გადმოცემა ჰყვება თამარ მეფის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს.

ერთი რაჭული ლეგენდა კი („თამარის კლდე და შოთას მთა“) ასეთ გულშიჩამწვდომ ამბავს მოგვითხრობს:

„სოფელ შქმერის მახლობლად მაღლა კლდეშია ჩაშენებული გამოქვაბული. დღესაც იგი მიუვალად ითვლება. ხალხის აზრით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას და კლდეზე მისი გამოსახულებაა დაცული. ამ გამოქვაბულთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული:

თამარ მეფესა და რუსთველს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ. შოთა რუსთველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგაო. თამარ მეფემ ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისათვის. როდესაც სიყვარულის დარდი განსაკუთრებით შემოაწვებოდა, თამარი შქმერის კლდეს მიაშურებდა, თავის გამოქვაბულში ჩაიკეტებოდა და იქიდან გასცქეროდა შოდას მთას, რომელიც შოთას სახელს აგონებდა და დარდს ამით იქარვებდაო. თამარის კლდიდან ჭიათურამდე უწინ ხვრელი ყოფილა გაკეთებული და მას გამოჰყვებოდა ხოლმე თამარიო“ (ხალხური სიბრძნე, ტ. III. 1964, გვ. 216).

ამ თქმულებებში კარგად ჩანს ფოლკლორული ექსტრაპოლაციის კვალი, ფაქტისა და გამონაგონის მხატვრული კონტამინირება, ამა თუ იმ კუთხის გარემოს მორგება ფანტაზირებისათვის (ამ უკანასკნელ თქმულებაში მოხერხებულად არის ჩართული შოდას მთის ხალხური ეტიმოლოგია, დაფუძნებული მის მსგავსებაზე პოეტის სახელთან).

რუსთაველის დაბადების დრო ცნობილი არ არის, მაგრამ მკვლევრები სავარაუდოდ XII ს-ის 60-იან წლებს მოიაზრებენ: იგი „უნდა დაბადებულიყო მე-12 საუკუნის სამოციან წლებში (შესაძლებელია, სამოციანი წლების გასულს, ან სამოცდაათიანი წლების დასაწყისში)“ (ალ. ბარამიძე). ამიტომაც აღინიშნა დიდი პოეტის დაბადების 800 წლის იუბილე 1966 წელს. იმავე მკვლევართა აზრით, რუსთაველს თავისი შემოქმედების გვირგვინი უნდა შეექმნა „სრული შემოქმედებითი მოწიფულობის“ ასაკში, დაახლოებით მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე.

მაშასადამე, რუსთაველი თურმე თამარზე 6 წლით უმცროსი ყოფილა, ანუ თამარის გამეფების დროისათვის – 12

წლისა. ეს კი არსებითად გამორიცხავს მის აქტიურ კავშირს თამართან დაკავშირებულ სამიჯნურო თუ სხვა ისტორიებთან. ცხადია, ეს ვერსია გამომდინარეობს პოემის იმგვარი წაკითხვიდან, თითქოს მასში საქართველოს იმჟამინდელი პერიპეტიების შედეგები იყოს უშუალოდ ასახული.

ჩვენეული ვარაუდი პოემის მიმართებისა არსებულ რეალობასთან, ცხადია, მნიშვნელოვნად სწევს წინ როგორც პოეტის დაბადების, ისე ნაწარმოების შექმნის თარიღს.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური ისტორიული დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მართლაც გვაყენებდეს რუსთაველის ბიოგრაფიის კვალზე, ეს არის ფრესკული გამოსახულება, აღბეჭდილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე. ამავე დროს, ჯვრის მონასტრის სვინაქსარის წიგნში ასახულია „აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი“.

ამ ფაქტებმა განაპირობა ორგვარი ვარაუდის ჩამოყალიბება:

1. შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო თამარის დროის მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ღვაწლი ჯვრის მონასტრის მიმართ დაფასებულა ფრესკითა და მოსახსენიებლით;

2. პოეტს თავისი განდეგილი ცხოვრება დაუსრულებია იერუსალიმში და ამ მონასტერშივე უნდა დაკრძალულიყო.

მკვლევართათვის, როგორც ჩანს, პირველი შესაძლებლობა უფრო მისაღებია. მათი აზრით, სწორედ ამ ფაქტს უნდა მიეცა საფუძველი ისეთი ლეგენდების შესაქმნელად, რომლებიც ღაღადებენ პოეტის ბერად შედგომისა, ჯვრის მონასტერში მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ.

მოკლედ – ზოგი მეორეული ინფორმაციის შესახებ:

ტიმოთე გაბაშვილმა – ცნობილმა ქართველმა მწერალმა და მოგზაურმა – ჯვრის მონასტერი მოინახულა და იქ არსებული სიძველეები აღწერა 1757-58 წლებში. იგი ამ საკითხის შესახებ წერს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის მონასტერში არსებობდა ინფორმაცია, რომელიც შოთა რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობას ადასტურებდა. ამი-



შოთა რუსთაველის პორტრეტი
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ქ.1148, XVII ს.

სი შესაძლებლობა არსებობს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „შოთას აღაპის“ შექმნის დროდ XII-XIII საუკუნეთა მიჯნას ვარაუდობენ (ელ. მეტრეველი).

მსგავსივე თვალსაზრისი აქვს განვითარებული თეიმურაზ ბაგრატიონს, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველი, ანუ მეჭურჭლეთუხუცესი (აქაც გაიგივებაა!) „წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულ არს სახელსა ზედა ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა, და განაახლა მონასტერი იგი... და იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა... და დაეფლა მუნვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შინაგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღენდელად დღედმდე“.

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში უკვე ერთმანეთს ერწყმის რეალური ინფორმაციებისა და მათი ლოგიკური დაკავშირებებისა და ვარაუდების სრული შესაძლებლობა. ფაქტობრივ, ამ ფარგლებში ტრიალებს მეცნიერული თუ, უბრალოდ, გონებამახვილური თვალსაზრისები დიდი პოეტის შესაძლო ბედის შესახებ.

დავასახელოთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ისტორიული ვინაობის ზოგი გამოკვეთილი ვერსია:

შოთას მესხურ წარმომავლობას (რომლის პირველადი წყარო პოემის ეპილოგის დანართი სტროფია: „ვსწერ მესხი ვინმე მელექსე...“) სხვადასხვა დროს ემხრობოდნენ დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, შ. ძიძიგური... მეტიც, მ. ჯანაშვილმა ივარაუდა პოეტის წარმოშობა თორელთა ცნობილი საგვარეულოდან, რასაც შემდეგ მხარს უჭერდნენ და არგუმენტებით განამტკიცებდნენ ს. ცაიშვილი, ნ. შოშიაშვილი და სხვ.

ს. კაკაბაძის ვარაუდით, რუსთაველი და მისი ეპოქის ცნობილი მეხოტბე ჩახრუხაძე ძმები უნდა ყოფილიყვნენ, თამარის მანდატურთუხუცესის ჭიაბერის შვილები.

პ. ინგოროყვა პოემის ავტორს აიგივებს ისტორიულ პიროვნებასთან – შოთა კუპრთან, რომელსაც მონღოლთა შემოსვლის დროს მემატიანე მოიხსენიებს როგორც ჰერეთის ერისთავს.

მ. ჯანაშვილის ერთ-ერთი ვარაუდით, ავტორი შეიძლება იყოს დემნა ბატონიშვილის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე – შოთა ართავაჩოს ძე.

პრ. რატიანის მოსაზრებით, შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო ქალაქ რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი – ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი.

მ. კარბელაშვილი ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველი შეიძლება იყოს ცნობილი სახელმწიფო მოხელის – ყუთლუ არსლანის ფსევდონიმი.

თ. ერისთავი პოეტს აიგივებს დემნა ბატონიშვილთან.

რადგან დიდი პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალა რაღაც სასწაულებრივად აღმოჩნდა გაუჩინარებული, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სრული გასაქანი მიეცა ხალხის შემოქმედებით ფანტაზიას და რუსთაველის სახელი, მისი შემოქმედებითი წყაროები მთლიანად ლეგენდების საბურველით შეიმოსა, იმდენად, რომ შესაძლებელია ამ პროცესმა თვით ნაწარმოების მტკიცე არქიტექტონიკაშიც კი შეაღწია.

ვფიქრობთ, რუსთაველის შემოქმედებითსა და პიროვნულ ბედთან დაკავშირებით საკმარისი საფუძველი აქვს იმ ეჭვებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით არაერთგზის გამოთქმულა და თვით პოეტურ სტრიქონებშიც გამომჟღავნდა:

„მაშ, შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს,
არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია...“

(მ. ქვლივიძე)

საზოგადოდ, ისეთი ბობოქარი პოლიტიკური პროცესების დროს, როგორადაც XII საუკუნის ბოლო მეოთხედი (თამარის მოღვაწეობის დასაწყისი) წარმოგვიდგება, მართლაც შეუძლებელია, რომ ისეთი რანგის მოაზროვნე და სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი პიროვნება, ისეთი ავტორიტეტული ფიგურა, როგორადაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვევლინება, რაიმენაირად მოწყვეტილი ყოფილიყო იმდროინდელ ეროვნულ ძალთა განლაგებას.

და თუ ეს ასე იყო, შეუძლებელია მას თავისი წილი (არცთუ – უმნიშვნელო) „პასუხი“ არ მიეღო გაძლიერებული სახელისუფლებო ძალებისაგან, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა არცთუ შორეული ისტორიის ისეთი „გაფერმკრთალება“, როგორიც რუსთაველის პიროვნულ ბედთან არის დაკავშირებული.

მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსთაველი, როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული დიდგვაროვანი და აქტიური მოაზროვნე, სახელისუფლებო კოლიზიის უშუალო მონაწილე აღმოჩნდა, მთელი თავისი შედეგებით. ოღონდ იგი საკუთარი გრძნობებისა და ემოციების გამომჟღავნებას კი არ გვთავაზობს, არამედ სახელმწიფოებრივ მსოფლხედვას აყალიბებს.

შეიძლება იგი ამ ხედვის პროტოტიპულ მოდელად რომელიმე ისტორიულ პერსონათა პირად ურთიერთობასაც იყენებდეს.

მაგალითად, სქემატური თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა ზოგი ავტორის ის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც რუსთაველის პოემა უნდა ასახავდეს იმ დრამას, რომელიც დემნა ბატონიშვილის სახელთან არის დაკავშირებული (მწერალი თ. ერისთავი, როგორც ითქვა, საერთოდ აიგივებს დემნა ბატონიშვილთან პოემის ავტორს).

დემნა გიორგი III-ის ძმისწული და ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრე იყო. მამამისი დავით V ნაადრევად გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმა გიორგი ავიდა იმ პირობით, რომ როდესაც ძმისწული დემნა სრულწლოვანი გახდებოდა, ტახტი მის ხელში გადავიდოდა.

მაგრამ ამასობაში დემნა ბატონიშვილი შეთქმულებაში იქნა ჩათრეული და მისი მთავარი ოცნება, რომ, ერთი ვერსიით, თამარისადმი მის სიყვარულს ბედნიერი დასასრული ექნებოდა, განუზომელ ტრაგედიად იქცა: შეთქმულება ჩავარდა და დემნაც, სხვებთან ერთად, სასტიკად დაისაჯა, რის შედეგადაც იგი 1178 წელს გარდაიცვალა.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა – ნესტანისა და ტარიელის – ნათესაურ-მემკვიდრეობითი ურთიერთობა მართლაც ჰგავს სამეფო კარზე არსებულ ვითარებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

მაგრამ მე მაინც ვამჯობინებდი, რუსთაველისეულ ფაბულასა და მის განვითარებაში უწინარესად დამენახა ავტორის მონარქისტული (სახელმწიფოებრივი) მსოფლხედვა და არა – რაიმე რეალური ისტორიული კოლიზიის მხატვრულად გადმოცემა. ამისი უეჭველი დასტურია ურთიერთანალოგიური სამემკვიდრეო ინტრიგის პარალელური წარმოდგენა ორ სხვადასხვა სახელმწიფოში, რასაც, როგორც ითქვა, მიზნად მოვლენების განვითარების ორი განსხვავებული მოდელის შედარებითი ანალიზის შესაძლებლობა უნდა დაესახა...

და დიდი მოაზროვნე ამას წერდა ისტორიის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოვლენების ასეთი თუ ისეთი პროგნოზირება და ავტორიც უთუოდ წარმოიდგენდა, რომ მისი სახელმწიფოებრივი ხედვა თანამემამულეებს რთული ამოცანის გადაწყვეტაში სახელმძღვანელოდ გამოადგებოდა.

როგორც ჩანს, ნაწარმოების ავტორის მხილებად და ბრალდებად უფრო მოხერხებულად იქნა გამოყენებული.

წარმოდგენილი მონახაზის მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მოსაზრება გამოითქვას:

1. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარის – როგორც ქალი მემკვიდრის – გამეფების იდეოლოგიური მომზადების წლებში (ამგვარი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა ისტორიული რეალობაა);

2. ავტორი ძალზე ახლოს არის სამეფო კართან, რადგან ამ სამზადისის არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ კულუარული ინფორმაციებიც იცის;

3. ნაწარმოების მიხედვით, იგი ვარაუდობს მოვლენათა ორგვარ განვითარებას – რაციონალურსაც და შეთქმულებითსაც. მისეული დისპოზიციიდან ჩანს, რომ იგი არ ემხრობა შეთქმულებითს სცენარს, მაგრამ პროცესების განვითარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებს მეფეს და მის კარს.

4. პოემა დაწერილია 1177-78 წლამდე, ვინაიდან შეთქმულების იდეა მოდელირებულია და არა – რეალისტური

(როგორც ითქვა, ცალკეული პასაჟების დაკავშირების მცდელობა ნაძალადევია).

5. შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი უპირველესად წყვეტს დიად მხატვრულ ამოცანას და ნებისმიერი დეტალი ამ მიზანს ემსახურება. ამავე დროს, ეპოქის კონტექსტში ავტორისათვის ეს თემა არის აქტუალური პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხი.

როგორც ჩანს, მძაფრი პერიპეტიების ფონზე რუსთაველის თანამედროვეთა მიერ ნაწარმოების ცალკეული პასაჟები ისევე მცდარად (და – ნაძალადევად) იქნა დაკავშირებული ისტორიულ ფაქტებთან, როგორც ამას თანამედროვე მკვლევრები აკეთებენ.

არა მხოლოდ ისტორიას უყვარს განმეორება, არამედ მის ინტერპრეტაციასაც!

რა გასაკვირია, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის მძლავრებას და ისეთი ფასეული სამხილის არსებობას, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“, მოჰყოლოდა არა მხოლოდ ავტორის ექსორია (ან – უარესი), არამედ მისი შემოქმედების იდეოლოგიური უარყოფა-შევიწროებაც, რაშიც შეიძლება სარწმუნოებრივი შინაარსის ბრალდებებიც ყოფილიყო გამოყენებული.

რუსთაველის უახლოესი ეპოქის ღვთისმეტყველებაში, სასულიერო მწერლობაში ნამდვილად არა ჩანს რაიმე მსგავსი მითითება რუსთაველის ნაწარმოების შესახებ, მაგრამ ის ფაქტი, რომ არცერთ ქართულ წიგნთსაცავში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა „ვეფხისტყაოსნის“ არცერთი ხელნაწერი, უკვე მრავლისმეტყველია. ქართველოლოგიას მოეპოვება V საუკუნისა და შემდგომი პერიოდის არაერთი წერილობითი წყარო, რვა საუკუნის წინანდელი გენიალური ქმნილება კი მხოლოდ გვიანდელი ნუსხებით არის შემორჩენილი.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეური და კომპოზიციური ქარაგმა

რამდენი კალმოსანი ცდილა, შესაფერისად გამოეხატა თავისი აღტაცებული, ზეაღმატებული დამოკიდებულება ქართული სიტყვის ამ დიადი საგანძურის მიმართ.

უპირატესად – წარუმატებლად...

ნოდარ დუმბაძის ერთი იუმორისტული დიალოგი „გვიმხელს“, რომ შოთა რუსთაველი ღმერთის სინონიმია!

მწერლის ამ ოპუსის მკრეხელურობას იუმორის ათინათი ანეიტრალებს.

ამ იუმორის ლოგიკის უფრო სერიოზული განვითარებაც შეიძლება:

შოთა რუსთაველი აკი ვიღაცის ფსევდონიმია.

და ეს ვიღაც აკი ჭეშმარიტი გენიოსია.

ღვთის მსგავსება კი ყველაზე მეტად გენიოსებში გამოვლინდება.

მაშ, ღმერთი მართლაც ყოფილა იმ დიდ საიდუმლოში, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელი ჰქვია...

რაც მთავარია:

შოთა რუსთაველის ფენომენი ნამდვილად ადასტურებს, რომ XII საუკუნის 60-იანი წლებისათვის სწორედ საქართველოზე გადმოსულა განსაკუთრებული ზეციური მადლი.

შოთა რუსთაველი, ცხადია, არის მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი დიდოსტატი, გენიალური პოეტი, ქართული ენის ჭეშმარიტი მესაიდუმლე...

მაგრამ იგი უპირველესად წარმოგვიდგება როგორც თავისი დროის უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი – ამ სიტყვის აბსოლუტური შინაარსით.

რუსთაველის მსოფლხედვა არის თანადროული ეპოქისთვის აზროვნების განვითარების მწვერვალი, მომცველი ქრისტიანობამდელი (ანტიკური) და ქრისტიანული ცივილიზაციის საუკეთესო ინტელექტუალური მონაპოვრებისა და, ამავე დროს, დროის წინმსწრები, ეპოქაზე აღმატებული თავისი პროგრესულობითა და ჰუმანიზმით.

რუსთაველის ფენომენს, ცხადია, საუკუნეობით ამზადებდა ქართული ქრისტიანული სამყაროს ხედვა და ესთეტიკა, „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნის საფუძველთა საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა, პოემის ყოველ პასაჟში გამოსჭვივის ქრისტიანული მსოფლაღქმა...

მაგრამ, ამავე დროს, პოეტი, როგორც თავისუფალი მოაზროვნე, როგორც ჩანს, პრინციპულად დაუპირისპირდა სამყაროს აღქმის ზოგიერთ ორთოდოქსულ ნორმას.

სარწმუნოებას ჰყავდა ღვთისთვის თავშეწირული გმირი-წმინდანი, რწმენის ერთგულებით ცად ამაღლებული.

რუსთაველმა შემოიყვანა მიწიერი გმირი – ზნეობრივად ამაღლებული ამქვეყნიური ღვაწლით, მოყვასისათვის თავგანწირვით:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად!“

აგიოგრაფიის გმირი უარს ამბობს ამქვეყნიურზე და თავს სწირავს რწმენას, იგი ღვთის სიყვარულით დაიწვის.

რუსთაველის გმირი თავს სწირავს ზნეობრივ იდეალებს, იგი პირადი თავდადებით მოუპოვებს მოყვასს ამქვეყნიურ ბედნიერებას და თავადაც ღირსეულ („ორმაგ“) ბედნიერებას ეზიარება ამ გამეტებით. მოყვასის სიყვარულით მიეახლება იგი ღვთაებრივ იდეალს.

სარწმუნოება ამბობდა: წუთისოფელი ცთუნებაა, განსაცდელია, ტანჯვაა, ბედნიერება საუკუნო სოფელშია.

რუსთაველმა ბედნიერება დააბრუნა წუთისოფელში – ხორციელ ადამიანთან. მისი ხედვის საფუძველთა საფუძველია ის, რომ ადამიანს უფლისგან აქვს მინიჭებული უფლება (და – აკისრია მოვალეობა), კეთილად განაგებდეს ამქვეყნიურს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა.“

იგი დაუპირისპირდა ამქვეყნიურის, როგორც ოდენ ბოროტის განსაცდელის, აღქმას; ბრძენი ადამიანის მოვალეობად

დასახა ღვთისგან ბოძებული სამყაროს – როგორც მშვენიერების - ბედნიერების სამსახურში ჩაყენება:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან,
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.“

შოთა რუსთაველმა არაორაზროვნად შემოიყვანა კაცობრიულ ასპარეზზე არა აგრესიის მორჩილად მიმღები, არამედ აქტიური, ქმედითი, მებრძოლი სიკეთე.

ღმერთი აშკარად შეეწევა სიკეთისათვის მებრძოლ გმირს. ამისი რწმენა შეაძლებინებს მას, ერთი ათასს შეებას:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი...
ვინცა ესე ასრე იცის, ჩემებრვეა გულოვანი.“

ერთობ ხელშესახებია რუსთაველის მსოფლმხედველობის ცენტრალური კონცეფციის კავშირი დიონისე არეოპაგელის მოძღვრებასთან – ამას პირდაპირი მინიშნებებიც ადასტურებს და ზოგადფილოსოფიური ფორმულებიც:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ-ბოროტსა არ დაჰბადებს!"
„[ჰე მეფეო...] რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის
ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?..“

ხელშესახებია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ერთი მხრივ, ეფუძნება ბიბლიურ სიბრძნეს და იქსოვება ბიბლიური სახისმეტყველებით, ხოლო მეორე მხრივ, აშკარად არის დავალებული აღმოსავლური პოეტური კულტურით, სპარსული სამიჯნურო-სარაინდო რომანებით.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ტიპურ სარაინდო თუ კურტუაზულ რომანად მიგვეჩნია, ეს სიუჟეტის დონეზეც კი არ არის მისაღები.

სარაინდო რომანი პირველობისათვის ბრძოლის ასპარეზია და იქ მხოლოდ მკლავმაგარი რაინდის ზეობაა.

„ვეფხისტყაოსანში“ მთავარი იდეისთვის, იდეალებისთვის ბრძოლაა და გამარჯვებული რაინდიც უმალ ზნეობრივი გმირია, რადგან „პირველობა“ კი არ არის მისი სიამაყის საგანი, არამედ ბოროტის მძლავრებისაგან დახსნილი სიკეთე.

„ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკურიც და ეთიკურიც, მისი იდეებიც და პერსონაჟებიც, ცხადია, რენესანსული შინაარსისაა.

რუსთაველი ხატავს „სიკეთისა ხელის მხდელ“, ამაღლებულ, თავისუფალ, ბედნიერ ადამიანს.

იგი ხატავს სიკეთის ამქვეყნიურ ზეიმს და ამ სიკეთის შემოქმედ, სულითა და ხორცით მშვენიერ რაინდთა საზოგადოებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური წონასწორობა, მისი სულიერი სისავსე და სისრულე ადასტურებს რენესანსული იდეალების არსებობას. თავისი ამ სიმაღლით პოემა ჭეშმარიტ აღტაცებასა და სიყვარულს იმსახურებს, მეტიც, ერის ისტორიული ცხოვრების უღალატო მეგზურად იქცევა. ამის შემდეგ მეორეხარისხოვანია, ადრეულ რენესანსს დავარქმევთ მას თუ არასრულ რენესანსს. მთავარია ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი დროის უდიდესი პოეტურ-ფილოსოფიური თხზულებაა, რომელიც აზრის სისრულითა და პროგრესულობით ისტორიულ დროს აღემატა...

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კონსტრუქციის ალგორითმი, როგორც რუსთველოლოგიის პერიპეტიებმა აჩვენა, არცთუ მარტივი გასაშიფრი აღმოჩნდა.

ცხადია, რომ პოემა არ არის აგებული სწორხაზოვან და სადა სიუჟეტურ ქარგაზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ ერთმანეთს ეხლართება რამდენიმე ქვეყნის შინაგანი ინტრიგა: ინდოეთი, არაბეთი, ხატაეთი, ხვარაზმი, ზღვათა სამეფო, მულღაზანზარი...

რაც მთავარია, როგორც ითქვა, სინქრონიულად და ანალოგიური დისპოზიციით ვითარდება ორი ქვეყნის — ინდოეთისა და არაბეთის — გარდამავალი მონარქიული ინტრიგა.

აღიარებულია რუსთაველის ერთ-ერთი დომინანტი მხატვრული ხერხი — სინონიმური პარალელიზმი (ალ. ბარამიძე,



შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში
მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი (1906-1991 წწ.)

კ. დანელია...). ეს ხერხი გულისხმობს ზუსტი ან, უფრო ხშირად, აღმავალი გრადაციის სინონიმების გამოყენებას მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად:

„მეფე გაწყრა, გაბრაზდა, ლაშქარნიცა შეუზახნა".
„მოდით და ნახეთ ყოველმან შემსწრემან, შემაგრებელმან".
„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი".
„გული ერთსა დააჯეროს, ძუძტი მიხვდეს, თუნდა ძუძი"...

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარალელიზმი ის ზოგადი შემოქმედებითი მეთოდია, რომელიც პოემის რთულ არქიტექტონიკას მთლიანად გამსჭვალავს და ეს პრინციპი ქმნის ნაწარმოების ზემომითითებულ ძირითად ალგორითმს.

აქ პირველ რიგში, ცხადია, იგულისხმება არაბეთისა და ინდოეთის თვალშისაცემი იგავური ანალოგია.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ეს „პარალელიზმი" გადაჯაჭვულია ბინარულ იდეურ ხაზთან: სიკეთის გამარჯვება დაკავშირებულია კაცობრიული სათნოების ორ უმაღლეს გამოვლინებასთან – მიჯნურობასა და მეგობრობასთან.

ეს ორი ამაღლებული გრძნობა ორივე ურთიერთდაკავშირებულ სიუჟეტურ ხაზს გამსჭვალავს, მაგრამ მიჯნურობის იდეას მაინც ტარიელი და ნესტანი განასახიერებენ, ხოლო მეგობრობის პროტაგონისტად ავთანდილი (და თინათინი) გვევლინება.

შენიშვნა: თინათინის ამგვარი ღირსების საბუთად გავიხსენოთ, თუ რა ნაბიჯს დგამს იგი, როდესაც ავთანდილის მეორეგზის წასვლის გადაწყვეტილებას გაიგებს: „შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა!.."

მაინც რომელია ძირითადი პოემის იდეური განაზრახის გადასაწყვეტად – მიჯნურობა თუ მეგობრობა?

ეს კითხვა არც დღეს დასმულა პირველად და არც გუშინ.

მართალია, რუსთველოლოგიაში პრიორიტეტული ჩანს ის აზრი, რომელიც მიჯნურობას წარმოაჩენს წამყვან მოტი-

ვად, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი არიან, პოემის სიუჟეტური ხაზის განმსაზღვრელ იდეად მეგობრობას სახავდნენ.

ასეთი გაგება, ცხადია, სიუჟეტური კომპოზიციის ამოხსნასაც შესაბამის ლოგიკას უძებნის. სარგის კაკაბაძემ, მაგალითად, 1927 წლის გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა ავთანდილის (არაბეთის) ხაზს დაუკავშირა და კომპოზიციის დასრულების აზრი ამგვარად გამოხატა:

„პოემის ფაბულა ბუნებრივად თავდება ავთანდილის და თინათინის ერთად ტახტზე დასმით როსტევანის მიერ... პოემა იწყება ავთანდილის და თინათინის მიჯნურობის ამბით და თავდება ავთანდილის და თინათინის დალოცვით როსტევანის მიერ“.

მართლაც, თუ ავტორის მიერ შემოთავაზებულ სიუჟეტურ ხაზს გავყვებით, ძირითადია „არაბეთის ამბავი“ და მის განვითარებას, როგორც ინტრიგა, ერთვის „ინდოეთის ამბავი“.

მოკლედ: ბრძენმა მეფემ — როსტევანმა — ქალიშვილი მეფედ აკურთხა და იმავე დროს გაითამაშა დიპლომატიური სცენა, რომლითაც ოფიციალურად დაადასტურებდა ავთანდილის პირველკაცობას თინათინის გვერდით (ავთანდილის მხედრულ თვისებებს გამოცდა არ სჭირდებოდა).

ეს მართლაც როსტევანის ბრძნული გეგმისამებრ მოხდა: მოყმემ მეფესთან პირდაპირ პაექრობაში ჩააბარა რაინდობა-სიჩაუქის გამოცდა.

მაგრამ ავთანდილს „ჩასაბარებელი“ აქვს სამიჯნურო გამოცდა და, ავტორისა და განგების ნებით, ჩნდება „უცხო მოყმის“ ინტრიგა, რომელიც ავთანდილს შესაძლებლობას აძლევს ბოლო საფეხურამდე ამაღლდეს კაცობრიულ სათნოებათა კიბეზე.

და იგი ამ გზას უშეცდომოდ გადის.

კომპოზიციის ამგვარი გაგებით, ცხადია, მეგობრობის ხაზია ძირითადი, ხოლო „უცხო მოყმის“ თავისთავად მნიშვნელოვანი თემა დამხმარე მოტივია.

შესაბამისად, სიკეთის ზეიმი მეგობრობის გამარჯვებაა, სწორედ მეგობრობის ძალა სძლევს ბოროტებას.

მაგრამ რა არის ის სიკეთე, რომლის აპოთეოზსაც მეგობრობა ემსახურება?

ცხადია, ეს არის მიჯნურობა. თუ ამ რაკურსით შევხედავთ, ძირითადი ხაზია სამიჯნურო ინტრიგა, ხოლო მისი „დამხმარე“ – მეგობრობა.

გავიხსენოთ ინდოეთის სიუჟეტური ხაზი:

სვიანი მეფობის მიწურულს ფარსადანს მოუვიდა რამდენიმე საბედისწერო შეცდომა:

მან ვერ გაითვალისწინა ქალი-მემკვიდრის გულისწადილი და არსებითად უგულებელყო მისი მემკვიდრული უფლება;

მან შელახა ტარიელის ღირსება და ინტერესი;

რაც მთავარია, მან გადაწყვიტა, რომ ქვეყნის მომავალი უცხოელი (ხვარაზმელი) უფლისწულის ჩასიძებასთან დაეკავშირებინა.

ამას მოჰყვა მიჯნურთა შეთქმულება – „უბრალო“ სასიძოს მოკვლა და ამ ამბის გახმაურების გამო ნესტანის ქვეყნიდან გადაკარგვა; უშედეგო ძებნის შემდეგ ტარიელის სრულად გაშმაგება-გაველურება.

ამ ხეტების დროს ტარიელი შემთხვევით აღმოჩნდება არაბეთში და ასევე შემთხვევით გადაეყრება ლაღად მონადირე მეფესა და მის სპასპეტს. მაგრამ აქ არ დამყარებულა რეალური კავშირი ამ ორ იდეურ ხაზს შორის – აქ მხოლოდ ინტრიგა ჩაისახა.

სამი წელი დასჭირდა ავთანდილს, რომ „შმაგი“ ტარიელისთვის მეგობრობის ჯადოსნური ძალა შთაებერა.

აი, იქ – შორს ინდოეთიდანაც და არაბეთიდანაც – უკაცრიელ დევთა ქვაბში სასწაულებრივად გადაეჯაჭვა ერთმანეთს მიჯნურობისა და მეგობრობის დიდი მიზანი.

გვერდიც რომ ავუაროთ მიჯნურობის იმ მართლაც განსაკუთრებულსა და გაუგონარ განსაცდელს, რომელსაც ტარიელი შემოჰყავს მოქმედებაში, განა მიჯნურობა არ არის ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ავთანდილს უმაღლესი სარაინდო გამოცდისათვის წარმართავს?

და ამ აზრით პოემას მიჯნურობის ორმაგი ზეიმი აგვირგვინებს:

– განსაკუთრებულ განსაცდელში გამოვლილი მიჯნურობის პირდაპირი გამარჯვება (მიჯნური დაკარგულ მიჯნურს ხვდება);

– ადამიანური ერთგულებით გამოცდილი მიჯნურობის ორმაგი გამარჯვება (მიჯნური მიჯნურს ხვდება სხვა მიჯნურთა განსაცდელისგან დახსნის შემდეგ).

სიმბოლურად ეს „სიკეთის ზეიმი“ გამოხატულია ნესტანისა და ტარიელის შეყრით: „ნახეს: მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა!“

საგულისხმოა, რომ ავტორმა ამ გამარჯვების, ამ აპოთეოზის იდეური ფორმულა გაცილებით ადრე გამონაკვთა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ეს მაშინ ხდება, როდესაც ავთანდილი ნესტანის ტყვეობის ზუსტ ცნობას მოიტანს ტარიელთან.

ნუთუ აჩქარდა ავტორი, რომ ძირითადი იდეა იმედის გაჩენისთანავე გამოთქვა და არა მაშინ, როდესაც ბოროტების ბასტიონი დაიმსხვრა?

უნდა ვიფიქროთ, ამით „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა, ანუ რუსთველისეული რწმენის ფუნდამენტურ პრინციპს გაესმის ხაზი: რაკი განგებამ გმირს „ჩანთქმული მთვარის“ (სიკეთის) კვალი გამოუჩინა, გამარჯვების ზეიმი უკვე გარდაუვალია („...გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“).

ამ შემთხვევაში ზმნური წარსული (წყვეტილი: [ბოროტსა] სძლია) და ზმნური აწმყო ([არსება მისი] გრძელია) ზოგადი თვალსაზრისით მარადიული, აბსოლუტური კატეგორიებია.

და ამ მარადიულ „გამოცდაში“, რუსთაველის ხედვით, ერთმანეთს განუყოფლად ეჯაჭვება მიჯნურობა და მეგობრობა.

აქამდე შეგნებულად არ გამოგვიყენებია ცნება – სიყვარული.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, სათნოების უმაღლესი საფეხურია სიყვარული, რომლის ზოგადი არსი ერთნაირად მოიაზრებს როგორც მიჯნურობას, ისე – მეგობრობას.

რუსთაველის სიბრძნისმეტყველების მიხედვით, მიმღეობა „მოყვარე (მოყვრობა)“ მეგობრობის შინაარსის ძირითად გამომხატველად გვევლინება (მეგობარ-ს იგი არ იყენებს):

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“...
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“...
„ან მოყვარე გიპოვნივარ...“

სიტყვა **საყვარელი** მიჯნურისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს:

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა“.
„მაგრა შევკრთი, საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა“.
„[თვალნი] რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების“...

ხოლო **სიყვარული** ორივე ამ დიად გრძნობას ერთნაირად მიემართება:

მიჯნურობას:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად...
საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულმოკლულად!“
„შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია“.
„შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.
„სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ!..“

მეგობრობას:

„ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“.
„გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“.
„ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“...

შდრ. ტარიელის სიტყვები ავთანდილისადმი:

„უცხოს უცხო აგრე ვითა შეჰიყვარდი?!“

ამდენად, რუსთველისეული ესთეტიკის კიდევ ერთი კონსტრუქციული პრინციპია იდეური პარალელიზმი – ღვთაებრივი სათნოების ზეიმი კაცთა შორის ერთნაირად, ურთიერთგანუყოფლად გულისხმობს როგორც მიჯნურობის, ისე მეგობრობის („მოყვრობის“) გამარჯვებას.

და ორი ერთსახე სათნოების გადაჯაჭვით ისკვნება პოემის სიუჟეტური კვანძი, მათი ერთობით გაიხსნება ის და მათი ერთობლივი ამაღლებით განსრულდება სიუჟეტური ქარგა.

კვლავ ფაბულის ს. კაკაბაძისეულ გააზრებას რომ გამოვეხმაუროთ:

მხსნელი გმირი (მეგობარი) მიდის საყარიბოდ, რათა სიკეთე (მიჯნური) ბოროტების განსაცდელს დახსნას.

ყარიბობის პირობა მძიმეა – უგზო და უდროო, რადგან ბოროტების სივრცე და დრო განუზომელია.

მეგობარმა უნდა გახსნას ბნელის იდუმალი ცხრაკლიტული, მან, როგორც მხსნელმა უნდა დაუბრუნოს სიკეთე დროსა და სივრცეს.

მას შემდეგ, რაც მხსნელი ამ მისიას აღასრულებს, იგი ამაღლებული ბრუნდება „სახლში“.

მაგრამ ეს დაბრუნება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა სხვა გმირი დაუბრუნდება თავის „სახლს“ (დროსა და სივრცეს).

ამაშია მისი ახლის შემქმნელი, შემოქმედებითი (მაკონსტრუირებელი) ბუნება.

ამ მსჯელობის განსამტკიცებლად ორიოდე დაზუსტება არ იქნება ზედმეტი:

პოემის ყველა მთავარი გმირი დაჯილდოებულია ამ ორფა ერთსახე სათნოებით – მიჯნურობისა და მეგობრობის ღვთისმიერი ნიჭით: ავთანდილიც, თინათინიც, ტარიელიც და ნესტანიც (უცნაურია, მაგრამ მხოლოდ ფრიდონი ჩანს ამ მხრივ „ნაკლული“ გმირი – ოდენ მეგობარი!).

ორივე ეს გრძნობა გმირისაგან სრულ თავგამეტებას მოითხოვს.

განსხვავება ის არის, რომ მიჯნურის თავგამეტებაში მნიშვნელოვანწილად ეგოისტური („სათავისო“) დამოკიდებულება არის წინ წამოწეული (გავიხსენოთ, როგორ ძლიერდება ისტორიულად ᲛᲘᲯᲜᲣᲠᲘ-ს ზმნაში „განმცდელის“ პოზიცია და იგი სუბიექტი ხდება: ᲛᲔ – ᲘᲛᲘ).

ხოლო მეგობრის თავგამეტება მთლიანად ალტრუისტულ საფუძველზე აღმოცენდება და ვითარდება.

თუ გმირთა განზოგადებულ დახასიათებას მივმართავთ, უდავოა, ავთანდილი მეგობრის სახე-სიმბოლოა, ხოლო ტარიელი მიჯნურს განასახიერებს.

ამავე დროს, ორივეს აქვს „სათნოებითი სისრულე“.

ავთანდილი რომ იდეალური მიჯნურია, ეჭვს არ იწვევს.

ნაკლებ მოუცლია განსაცდელში მყოფ ტარიელს მეგობრობისათვის, ამიტომაც ინახავს ავტორი მისი „რეაბილიტაციის“ შესაძლებლობას; მაგალითად, ხაზს უსვამს მის „თავგანწირვას“ ავთანდილთან საკუთარი ტრაგედიის თხრობის დროს.

ტარიელის ამ თვისების საბუთად შეუცვლელია ერთი ეპიზოდი:

მწუხარე რაინდი სულიერს ახლოსაც არ იკარებს; მაგრამ უმალვე, როგორც კი იგი განსაცდელში მყოფ, დაჭრილ რაინდს დაინახავს, თვითონვე დაედევნება უცხო პიროვნებას, რათა დახმარება შესთავაზოს მას.

სწორედ სხვისი განსაცდელის დროს იღვიძებს მასში ალტრუიზმი, ანუ – მეგობარი.

ამიტომაც სამივე გმირს ერთნაირად მოიაზრებს მეგობრად ავტორი:

„მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მონება“.

რუსთაველის თანახმად:

მეგობრობას არა აქვს საზღვრები.

მეგობრობას ვერ აფერხებს ვერანაირი ბარიერი: ეროვნული, ენობრივი, მსოფლმხედველობრივი...

მხოლოდ მეგობრობას შეუძლია ბოროტების დაძლევა.

მეგობრობის ძალმოსილება ახარებს სიყვარულის ნერგს – „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა“.

მეგობრობა იგივე სიყვარულია!..

სალხის სიყვარულით ნაგვირისტები

ამგვარ ვითარებაში – ნაწარმოების იდეოლოგიური განკერძოებისა და თანდართული მძიმე ისტორიული განსაცდელის, 300-წლიანი „დიდი ღამის“ პირობებში – რა იდუმალი

თვისება აღმოჩნდა საფუძველი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ხელიდან ხელს და ბაგიდან ბაგეს გადაეცემოდა და საბოლოოდ ქართველთა ისტორიის, მათი ბედისწერის განუყოფელ, სისხლხორცეულ ნაწილად იქცა?

პასუხის ერთი ვერსია შეიძლება ამგვარი იყოს:

ამ გენიალურ პოემაში ქართველმა სრულად და სრულყოფილად დაინახა საკუთარი ისტორიული „მე“, მასში აღმოჩნდა განივთებული ეროვნული თვისობის, ეროვნული ღირსების, ეროვნული პერსპექტივის განცდა და ამ წიგნის გადარჩენას არსებითად დაუკავშირდა ერის თვითმყოფადობის დაცვის, კულტურული „მეობის“ შენარჩუნების ამოცანა.

ამიტომაც აღმოჩნდა საერთოსახალხო ზეპირი კონვენციის საგანი როგორც მისი ცოდნის, გამშვენების, გამრავლებისა და მემკვიდრეობით გადაცემის ვალდებულება, უფრო მეტიც — მასთან იქნა დაკავშირებული თვით ბედნიერების იდეაც კი.

სწორედ ეს იდეა ედო საფუძვლად იმ უნიკალურ ჩვეულებას, რომ ხალხი ამ პოეტურ საგანძურს უძვირფასეს სამზითვო ფასეულობად მიიჩნევდა და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა თადარიგისა და რიტუალის საგანი უნდა ყოფილიყო ამ საბედნიერო „ნივთის“ მომზადება, გაცემა და დაბინავება, რა ეტიკეტი და სიტყვიერება მიჰყვებოდა მას თან.

ფოლკლორს შემოუნახავს ამ ჩვეულების კულტურული შინაარსისა და ზნეობრივი ასპექტის წარმომჩენი ერთი არცთუ კომიკური შემთხვევა:

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.
წაეკითხათ, ვერ გაეგოთ,
თურმე იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ცხადია, მთქმელის ტრაგედია ის არის, რომ მისი სამზითვო ქალიშვილის ბედნიერება მყარი არ აღმოჩნდა, მაგრამ იგი ქალის დაბრუნებაზე კი არა, „ვეფხისტყაოსნის“ დაბრუ-

ნებაზე ლაპარაკობს და ამით კულტუროსნობის საზომით აფასებს შეცდომით დამძახლებულ მხარეს.

ეპითეტი „ვიროსანი“, ცხადია, კალამბურია და მისი ორაზროვნება მხოლოდ უწიგნურობას არ უნდა ნიშნავდეს. ერთი ქართული ანდაზა ამბობს: „შორეულ ცხენოსანს მახლობელი ვიროსანი სჯობიაო“. შესაძლებელია, ამ პრინციპითაც შეარჩია ქალის პატრონმა სასიძო მხარე, მაგრამ სანანებელი გაუხდა, რადგან იმ მხარეს არ აღმოაჩნდა საბოლოო ურთიერთობისათვის აუცილებელი რამ – „ცხენოსნობა“ ანუ რაინდული კულტურის ქონა.

თუ რაოდენ საყოველთაო იყო „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად ბოძების ტრადიცია, ამას ადასტურებს პოემის ერთი ნუსხის თავგადასავალი, რომელიც წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ სახელით არის ცნობილი.

ეს არის ხელნაწერი S-5006, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდშია დაცული.

XVIII საუკუნეში იმერეთის მეფე სოლომონ პირველის დავალებით განუახლებიათ პოემის ერთი ადრინდელი ხელნაწერი, ძველი ილუსტრაციებიც გადმოუტანიათ, ხოლო ნაკლული ადგილები 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან შეუვსიათ. სოლომონს ეს ძეგლი, როგორც ჩანს, მზითვად დაუტოვებია თავისი ქალიშვილისათვის – დარეჯანისათვის, რომელიც ცოლად ჰყავდა იმერელ ფეოდალს ქაიხოსრო აბაშიძეს. მათი შვილი იყო იმერეთის აჯანყების მეთაური ივანე აბაშიძე. აჯანყების დამარცხების შემდეგ (1820) ივანე დაუსხლტა დამსჯელებს და გაიხიზნა თავისი ცოლის ბიძის – ქაიხოსრო გურიელის – ოჯახში (სოფ. შემოქმედში); სხვა ძვირფასეულობასთან ერთად თან წაიღო „ვეფხისტყაოსანიც“. ერთი თვის შემდეგ ისევ იფეთქა აჯანყებამ იმერეთსა და გურიაში, ამჯერადაც წარუმატებლად. ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე ოსმალეთში გადაიხვეწნენ, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ შემოქმედში დარჩა, გურიელების ოჯახში.

ოციოდე წლის შემდეგ ქაიხოსროს ქალიშვილი პელაგია ცოლად გაჰყვა საჩხერელ თავადს ნესტორ წერეთელს და მის მზითევს ამშვენებდა ხსენებული „ვეფხისტყაოსანიც“.

ცნობილია, რომ პელაგიას ეს ხელნაწერი უთხოვებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი პირველი კომისიისათვის, რომელსაც გრ. ორბელიანი ხელმძღვანელობდა.

მალე პელაგია გარდაიცვალა და შვილებს შორის ქონების გაყოფის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ მფლობელი გახდა გიგო წერეთელი.

რადგან დროთა განმავლობაში ხელნაწერი შელახულა, გიგოს ის თავისი ვაჟიშვილებისათვის თბილისში გაუტანებია ყდაში ჩასასმელად.

შვილებს ხელნაწერი კი გაუკეთებიათ, მაგრამ ეტლში დარჩენიათ! ეს ეტლი ერთ-ერთი ვაჭრის — ფორაქიშვილის - ნოქარს დაუქირავებია და ხელნაწერი ვაჭრისთვის მიუტანია. ვაჭარმა წიგნი მიჰყიდა ცნობილ მეწარმესა და მეცენატს — დავით სარაჯიშვილს. ერთი კვირის შემდეგ დავითმა სტუმრებს უმასპინძლა, მათ შორის — ექვთიმე თაყაიშვილს. ექვთიმემ სთხოვა, ხელნაწერი შესასწავლად მათხოვე და მალე დაგიბრუნებო, მაგრამ განზრახ გაუჭიანურა პატრონს წიგნის დაბრუნება, რაკი დავითი აპირებდა, ხელნაწერი თბილისში მყოფი უცხოელი არქეოლოგისათვის — ბარონ დე-ბაისთვის ეჩუქებინა. უცხოელის წასვლის შემდეგ ექვთიმემ აიძულა დავითი, რომ ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის დაეთმო.

ერთ დღესაც ექვთიმესთან პელაგია წერეთლის ის ვაჟები გამოჩნდნენ, რომელთაც ხელნაწერი დაკარგეს, გავიგეთ, რომ სიძველეებს ინახავთ და იქნებ ჩვენი დედის უძვირფასესი ქონებაც თქვენთან იყოსო.

ვერ დაუმალა ექვთიმემ და, დიდი ხვეწნის შემდეგ, ხელნაწერი ვაჟებს იმ პირობით გაატანა, რომ, მათი სიტყვით, დედას აჩვენებდნენ და უკან დააბრუნებდნენ.

მაგრამ ძმები აღარ გამოჩნდნენ!

გავიდა ხანი და ექვთიმე საჩხერეში იმყოფებოდა ახალი ყორღანის გასათხრელად. სწორედ იქ, წერეთლების ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, გადააწყდა იგი ხელნაწერის წამღებ ძმებს და ამჯერად უკვე საბოლოოდ დაუბრუნა მუზეუმს ეს ძვირფასი საგანძური.

ოღონდ ამასობაში ხელნაწერი დაზიანებულიყო, მისი რამდენიმე ილუსტრაცია ძმების შეუმჩნევლად ვიღაც ვაჭარს ამოეჭრა!

მოპარული ილუსტრაციები მოგვიანებით ევროპაში აღმოჩნდა, მაგრამ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის - ოლივერ უორდროპის – წყალობით ისინი სამშობლოს დაუბრუნდა.

ეს ისტორია გამონაკლისი არა ჩანს. ვინ იცის, რამდენი ხელნაწერი შეეწირა ისტორიულ ძნელბედობასა თუ „სიძველის მოყვარულთა“ პირად ინტერესს. ამისი დასტურია სხვადასხვა ფორმით ნაპოვნი „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტებიც. მაგალითად, ილია აბულაძემ 1963 წელს ახალციხის მუზეუმში მიაკვლია პოემის ხელნაწერის ორ ფურცელს (სავარაუდოდ, XVI საუკუნისას), რომლებიც ერთი გვიანდელი ხელნაწერი წიგნის ყდების გასამაგრებლად გამოეყენებინათ!

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა „ბიოგრაფიის“ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ე. წ. ზაზასეული ნუსხის ამბავი.

ზაზა ციციშვილი XVII საუკუნის ცნობილი მოღვაწეა – დიდი ფეოდალი, სარდალი და სახლთუხუცესი. მას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მომზადება დაუვალებია ისეთი გამოცდილი მწიგნობარისათვის, როგორიც იყო იოსებ საააკაძე (ცნობილია ტფილელის ზედწოდებით, როგორც თბილისის ეპისკოპოსი).

უკვდავი წიგნი გადამწერს საგანგებოდ მოურთავს ოქროს ვარაყიანი ჩარჩოთი და ყვავილოვანი გრავიურებით. მასში ჩართული ყოფილა ფეხმორთხმით მჯდომი რუსთაველის პორტრეტიც. გადამწერს გულდასმით გადაუწერია პოემის ერთ-ერთი რედაქცია, ოღონდ შიგადაშიგ საკუთარი და თავისი სიმამრის – ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილის სტროფებიც ჩაურთავს.

ჯერ მამა – პაპუნა, ხოლო შემდეგ ზაზა ციციშვილი ერთგულად ემსახურებოდნენ მეფეს. მაგრამ მოგვიანებით ზაზას მეფე ვახტანგ-შაჰნავაზთან ორგულობა დასწამეს. მეფემ მისი შეპყრობა ბრძანა და სარდალი ამ შეტაკების დროს დაიღუპა. ზაზას მოკვლას მისი ოჯახის აოხრებაც მოჰყვა და „ვეფხიტყაოსნის“ ხელნაწერმა მეფის ოჯახში გადაინაცვლა, კერძოდ, მისი მფლობელი ბატონიშვილი ლევანი გახდა.



შოთა რუსთაველი
მხატვარი
ნიკო ფიროსმანი
1913 წ.



შოთა რუსთაველი
დიდი ქართველი პოეტი
მოქანდაკე
იაკობ ნიკოლაძე
(1876-1951 წწ.). იტალია.
რომი

ლევანი ერანის მდივანბეგი ყოფილა და იქ უდროოდ დაღუპულა. მისი შვილი იყო ცნობილი მოღვაწე, მეფე-პოეტი ვახტანგ მეექვსე. ზაზასეული ხელნაწერი ამჯერად ნამდვილად საიმედო ხელში აღმოჩნდა, რადგან მწიგნობარმა მეფემ უპირველესად დასაბეჭდ წიგნებს შორის რუსთაველის უკვდავი პოემაც იგულვა და ამისთვის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ეს ხელნაწერი გამოიყენა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამზითვების ტრადიცია ვახტანგ მეფემაც გამოიყენა და აღნიშნული ძვირფასი ხელნაწერი თავის ქალს – თამარს – გაატანა მზითვად, როცა ის მეფე თეიმურაზ მეორემ შეირთო.

მოგვიანებით მათმა ვაჟმა ერეკლე მეორემაც გაატანა „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფას მზითვად თავის ასულს – თეკლე ბატონიშვილს.

თეკლეს ვაჟი იყო ცნობილი მწიგნობარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე თავადი ალექსანდრე ორბელიანი. რადგან მას, როგორც მეამბოხეს, მეფისნაცვლის გულის მოგება უნდოდა, ზაზასეული ხელნაწერი წარწერით მიურთმევია „კნიაზ“ ვორონცოვისათვის.

ასე აღმოჩნდა იოსებ ტფილელის ხელნაქმარი ვორონცოვის არქივთან ერთად ჯერ ოდესაში, შემდეგ მოსკოვში, ბოლოს კი – ლენინგრადში.

ვორონცოვის არქივის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერს გასული საუკუნის 30-იან წლებში ლენინგრადის ერთ-ერთი ინსტიტუტის არქივში მიაკვლიეს და თბილისში დააბრუნეს ქართველმა ლიტერატორებმა (ალ. დუდუჩავამ, გ. ლეონიძემ...). ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-1082).

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ რედაქციებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს უძველეს თარიღიან ხელნაწერს. ის გადაწერილია 1646 წელს ცნობილი კალიგრაფისა და პოეტის მამუკა თავაქარაშვილის მიერ. პოემა ტყვეობაშია გადაწერილი. მამუკა იმერეთის მეფის მდივანი იყო, მაგრამ იგი ქართველთა შინაომის დროს ტყვედ ჩავარდნია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს და ოც წელზე მეტი ტყვეობაში გაუტარებია. ამას იგი ანდერძით გვაუწყებს: „ვიწყე

ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულვყავ თვრამეტსა აგვისტოსა, ქორონიკონსა სამას ოცდათოთხმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვსწერდი“.

განსაკუთრებული ყურადღების საგანია თავაქარაშვილისეული მხატვრობა – ტექსტის ილუსტრირება და ტექსტის ავტორის, გადამწერისა და, როგორც ჩანს, შემკვეთის – ლევან დადიანის – პორტრეტები.

ლევან დადიანის შემდგომ ამ წიგნის მფლობელები არა ჩანს. მხოლოდ ერთ-ერთი ფურცლის კრიპტოგრამა გვაუწყებს ვილაც გოშოძის ქალის შესახებ. XIX საუკუნეში ეს ხელნაწერი ჯერ გახდა აზნაურ გრიგოლ ანთაძის საკუთრება, შემდეგ კი ნინო კორინთელის ხელში აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც მისი გათვალისწინება შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ 1888 წლის გამოცემის მომზადებისას.

1911 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით მფლობელისაგან შეიძინა ეს ხელნაწერი. ამჟამად ის ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-599).

სრულიად აშკარაა, რომ XVI საუკუნის შემდგომი პერიოდი თვალსაჩინო მაგალითია „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებული საერთო-საზოგადოებრივი პოპულარობისა. ამას ადასტურებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

ა) პოემის ზეპირი გადაცემისა და, უთუოდ ამის საფუძველზე, გაფოლკლორების ტრადიცია;

ბ) კალიგრაფიული ტრადიცია. გამოვლენილია სხვადასხვა ხარისხისა და ფორმის 2 ასეულამდე ხელნაწერი ვარიანტი (ნაკლული ნუსხებისა და ფრაგმენტების ჩათვლით);

გ) ხელნაწერთა გადამწერ-გამავრცელებლებად და მფლობელებად ჩანან სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები: სამეფო გვარის წევრები, თავადები და აზნაურები, მდივან-მწიგნობარნი, მხედრობა და გლეხკაცობა.

ნათლად ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცოდნა და, მით უფრო, ამ საგანძურის მქონებლობა თავმოწონების საგანი, საზოგადოებრივი პრესტიჟის გამომხატველია. თითქოს ეს არის ერთგვარი პასპორტი ღია სოციალური თანაცხოვრე-

ბისა, იმდენად, რომ, როგორც ჩანს, სამოქალაქო ინტეგრაციის ამ არხს სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც საკმაოდ აქტიურად იყენებენ. მაგალითად, ლადო გუდიაშვილი იგონებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია მხატვარ კარაპეტ გრიგორიანს („მნათობი“, 1960, №10).

არსებობს რამდენიმე ცნობა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხის შექმნაზე უზრუნიათ ეთნიკურად არაქართველ მოქალაქეებსაც, მაგალითად, 1671 წელს პოემის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ნუსხა შეუქმნია ეროვნებით სომეხს – მუშრიბ გასპარას (აღმურაანთ ბაღდასარას შვილს); როგორც ჩანს, მას ეს ხელნაწერი დაუმზადებია ვაჟიშვილის დაბადების მოლოდინში. ვაჟისთვის დავითი დაურქმევია და მისთვის ნაბოძები წიგნი გულშიჩამწვდომი ანდერძით შეუვედრებია ყველასათვის, ვისაც კი შეიძლებოდა შეხარბებოდა მისი ოჯახის ქონება: „აწე ამას გეხვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკითხავსა, ვინ გინდა იყუნეთ ადამიანის ნათესავი, ჩემს შვილს ნურვინ გამოართომთ ამ წიგნსა, ჩემი იედგარი არს!"

ისტორიას უხერხულ კითხვად მოსდევს ქართული ეკლესიის, სასულიერო წრის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი“. ამ ეჭვს აძლიერებს ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გამოკვეთილი ნეგატიური პოზიცია. მაგალითად, არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი წერს: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

პლატონ იოსელიანის ცნობით, ანტონ კათალიკოსს ვახტანგის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ 80 ეგზემპლარი მტკვარში ჩაუყრევინებია „ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა“.

ცნობილია ანტონ I-ის პირდაპირი უარყოფითი შეფასებაც:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად.
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის.
თუ რამ ჰსწადოდა, ღვთისმეტყველიცა მაღალ;
უცხო საკვირველ პიიტიკოს-მესტიხე.
მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

სანუგეშოა ის, რომ ამგვარი დამოკიდებულება ძველი მემკვიდრეობა არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ღვთისმეტყველთა გალაშქრების ადრინდელი ფაქტები რუსთაველის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ფაქტობრივ არა ჩანს.

პოემა, როგორც რენესანსული ნაწარმოები, საკმარის საფუძველს იძლევა როგორც იმისათვის, რომ მასში ქრისტიანული მსოფლაღქმის სრული პარადიგმა ამოვიკითხოთ (რის შესახებაც ფუნდამენტური კვლევები არსებობს), მაგრამ ასევე შესაძლებელია, თუ ამისი სურვილი იქნა, ქრისტიანული ზნეობის თვალსაზრისით მოსადავებელიც საკმარისად იქნეს გამოვლენილი და კრიტიკულად შეფასებული. ამიტომაც ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, რომლებშიც ჩანს „ვეფხისტყაოსნისადმი“ რაიმენაირი ინტერესი სულიერ მოღვაწეთა მხრივ. ამისი დასტურია, მაგალითად, ვანის ქვაბების ქალთა მონასტრის ერთ-ერთი მკვიდრის – ანა რჩეულიშვილის – XV ს-ის წარწერა, რომელშიც ნესტანის წერილის ფრაგმენტია ჩართული; მასში კარგად ჩანს, ჯერ ერთი, წარწერის ავტორის მგრძნობიარე დამოკიდებულება პოემის გმირთა ბედისადმი, ფაქტობრივ, პირად განცდებთან გაიგივება, მეორეც ის, რომ მონაზონს ზეპირად სცოდნია პოემის მონაკვეთები (ამას წარწერის ტიპობრივი შეცდომები ადასტურებს):

„ქ. ციხეს ვზი ეზო მაღალსა, თუალნი ძლივ შემომაცდება,
გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ[ა] დაცდება,
მათსა შემბელსა დაჴოცენ, ცეცხლურებ მოედებიან.
ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სხუათა მებრძოლთა წესითა,
ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა,
დამთქმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა“.

უნიკალური ფაქტია, რომ მონაზონი პოემის „ციტირებას“ ქრისტეს ხსენებით იწყებს!

უნიკალური ფაქტია, რომ ბერთის სახარების (X ს.) აშიაზე ვინმე ცოდვილ იორდანეს XV საუკუნეში მიუწერია პოემის ერთი ტაეპი: „მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქს სიყვარულსა".

ზემოთ ადგილი დაეთმო ნუსხას, რომელიც ცნობილ სასულიერო პირს, ეპისკოპოს იოსებ ტფილელს ეკუთვნის.

იოსებ ტფილელის თანამედროვე იყო მღვდელი და პოეტი იესე ტლაშაძე, ვისაც ეკუთვნის ვახტანგ VI-ის შვილის ბაქარისადმი მიძღვნილი პოემა „ბაქარიანი“ (რომელშიც აშკარაა „ვეფხისტყაოსნის“ ძლიერი გავლენა); იგი რუსთაველის ჭეშმარიტი დამფასებელი ჩანს:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენატკბილო
და შაქარიანო,
ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი
მოგპარიანო".

ცნობილია ასევე, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H კოლექციის ერთ-ერთი ნუსხა ეკუთვნის იეროდიაკონ ნიკოლოზს (ტაბლიაშვილს). მას პოემის ვრცელი რედაქცია 1820 წელს გადაუწერია, მაგრამ უცნაურია, რომ სრულ უპატივცემლობას ავლენს რუსთაველის მიმართ და არ ფარავს განზრახვას, რომ გააგრძელოს და შეავსოს პოემის ტექსტი („მინდა მეცა განვაგრძელო“...).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ღვაწლი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა, იოანე IX ავალიშვილისა, რომელიც სხვადასხვა დროს იყო საფარის მონასტრის წინამძღვარი, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, ალავერდის მთავარეპისკოპოსი (1612), ქართლის მთავარეპისკოპოსი (1630). ხელნაწერი, რომელიც მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ინტენსიური სასულიერო მოღვაწეობის დაწყებამდე – XVI საუკუნის მიწურულს შეუსრულებია, დღემდე მოღწეულთა შორის ერთ-ერთი უადრესი და სრულყოფილია. ეს ვრცელი რედაქცია პოემისა – H-2074 ხელნა-

წერი – 2005 წელს ცალკე, დიპლომატიკური წესით გამოსცა პროფ. პარმენ მარგველაშვილმა, მისი კუთვნილება მყარი არგუმენტებით განამტკიცა და აღნიშნა: „იოანე ავალიშვილის ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ ოთხი საუკუნითაა დაცილებული რუსთაველის ეპოქას. ნუსხის შექმნიდან დღემდე კი კიდევ ოთხი საუკუნე გავიდა და, ამდენად, ეს ხელნაწერი დროის დინებამ, თითქოს საგანგებოდ, იმ მიჯნად თუ წყალგამყოფად წარმოსახა, რომლის ერთ ოთხსაუკუნოვან მხარეს საერთოდ არა გვაქვს პოემის ტექსტი, მეორე ოთხსაუკუნოვან მხარეს კი თავმოყრილია დღეისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერი და სტამბურად გამოცემული ვარიანტები „ვეფხისტყაოსნისა“.

აქვე შეიძლება ზოგი იმ ხელნაწერის მითითება, რომელთაც მეცნიერები ტექსტის დადგენისას ეყრდნობიან:

H–2074 – XVI ს.-ის ბოლო, იოანე ავალიშვილისეული.

H–757 – 1671 წ., ბეჟან წერეთლისეული.

H–54 – 1680 წ., გიორგი XI-ისეული.

Q–1082 – XVII ს., ზაზასეული, გადამწ. იოსებ ტფილელი.

H–599 – 1646 წ., მამუკა მდივნისა (თავაქარაშვილისა).

S–2829 – 1688 წ., სახლთხუცის პაპუნა ბებურიშვილისეული.

S–4988 – XVIII ს., ილია ჭავჭავაძისეული.

H–2610 – XVIII ს., პ. კარბელაშვილისეული.

Q–261 – XVIII ს., ალ. ჯავახიშვილისეული, ს. ხოვლედან.

A–363 – XVII ს.

Q–779 – XVII ს., დ. მდივნისეული.

ქუთ-215 – XVII ს., კირილე ლორთქიფანიძისეული.

Q–930 – XVII ს., ერევნის მატენადარანიდან.

ოქს.– 17 – XVIII ს., მზეხათუნისეული, უორდროპის კოლექციიდან.

S-5006 – XVIII ს., სოლომონ მეფისეული (დ. სარაჯიშვილის კუთვნ.).

ოქს.– 27 – XVII ს., ელენე ერისთავ-თარხნიშვილისეული.

S–1727 – 1825 წ., რაფ. ერისთავისეული.

ხელნაწერების ლიტერები და თანმიმდევრობა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტრადიციით, ამგვარი იყო:

A: H-757 – 1671 წ. „აღმურაანთ ბაღდასარაშვილის“ ნუსხა;

B: H-54 – 1680 წ. გიორგი XI-ის დაკვეთით მდივან ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი;

C: H-2074 – XVII ს. I ნახევარში უცნობი კალიგრაფის ხელნაწერი;

D: Q–1082 – 1660-იან წლებში იოსებ ტფილელის მიერ შესრულებული ნუსხა;

E: H–599 – 1646 წ. მამუკა თავაქარაშვილისეული ნუსხა;

F: S–2829 – 1688 წ. სახლთუხუცეს პაპუნა ბებურიშვილის ნუსხა;

G: S–4988 – XVII საუკუნის II ნახევარში შექმნილი ნუსხა.

და სხვ.

გარდამთქმელთა ნამოღვაწარი!

ცალკე თემაა „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორების მოღვაწეობა.

შეიძლება ითქვას, რომ რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროის ნუსხებში სავარაუდო დედნისეულისა და გამავრცელებელთა ნახელავის ურთიერთგამიჯვნის რთულსა და, უმეტესად, საეგებო საქმეს ეძღვნება.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და იწვევს პოემის ავტორისეული ტექსტის დადგენის არაერთი საკითხი - სიუჟეტური სტრუქტურითა და სტროფული შედგენილობით დაწყებული და ცალკეული იკითხვისების ავთენტიკურობით დამთავრებული.

ცნობილია, რომ სხვადასხვა დროს სერიოზულ ეჭვქვეშ დაუყენებიათ პოემის პროლოგისა და ეპილოგის ავტორისეულობა, „ინდო-ხატაელთა ამბავი“, „ხვარაზმელთა ამბავი“ და თვით პოემის გმირთა ამქვეყნიდან განსვლის ამბავი.

კომპოზიციის კანონების მიხედვით, პოემის იდეური ხაზი იქ მთავრდება, როდესაც „ნახეს მზისა შესაყრელად

გამოეშვა მთვარე გველსა“, ანუ როდესაც კეთილის მიერ ბოროტის ძლევის იდეა აღსრულდა.

მაგრამ რადგანაც გმირთა ეს გამარჯვება მათი სამშობლოსაგან შორს – ქაჯეთში – ხდება, შესაძლებელია კომპოზიციურ ჩანაფიქრში გმირთა „ამქვეყნად“ დაბრუნების იდეაც ყოფილიყო მოაზრებული.

აი, ეს ღია სიუჟეტური პერსპექტივა ქმნიდა იმის საფუძველს, რომ შემოქმედებითი ამბიციის მქონე ავტორებსა და გადამწერლებს საკუთარი ძალა ამ საბედისწერო ასპარეზზე ეცადათ.

ისეთი თვალსაზრისიც არსებობს, რომ ასეთი პერსპექტივა თავად ავტორმა ჩაიფიქრა და შთამომავლობას ამ ასპარეზზე „მოსაწვევიც“ დაუტოვა: „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის შეუშრობელი...“ და თეიმურაზ პირველის მოწოდებაც ამ ნების გამოხატულებაა: „ვინცა ლექსი მიუმატოს, მე არა ვარ მომდურავი“ (პ. მარგველაშვილი).

ამრიგად, ინტერპოლატორული პრაქტიკა რუსთველოლოგიაში იმაზე უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ეს მოჩვენებითი პოეტური ამბიციით დაჯილდოებულ ერთეულ პირთა ფანტაზიის თავისუფალი ვარჯიშის შემთხვევაში იქნებოდა.

ინტერპოლატორის სულისკვეთება, თავისთავად, კეთილშობილი განზრახვით არის მოტივირებული. მას ეჩვენება, რომ პოემის რომელიღაც პასაჟი თუ რომელიმე ცალკეული დეტალი არასაკმარისად არის ხორცშესხმული და მიზნად ისახავს მაქსიმალურად რუსთველისებურად ანუ მომავალი მკითხველისათვის ვერშესამჩნევად ამოავსოს ეს ხარვეზი. მაგალითად, სერიოზულ მწიგნობარს იოსებ ტფილელს, ცხადია, მხოლოდ კეთილშობილი მიზანი ამოძრავებდა, როდესაც თავისმიერ ხელნაწერ ნუსხაში საკუთარი სტროფებიც ჩაურთო და მას თავისი სიმამრის – მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილის შეთხზულიც დაამატა.

ეს ჩამატებები, შეიძლება ითქვას, კეთილსინდისიერებითაც გამოირჩევა, რადგან გადამნუსხავს ჩამატებული სტროფებისათვის ავტორის ვინაობა (ინიციალები) მიუწერია (ყველა ინტერპოლატორი რომ ასე მოქცეულიყო, „ვეფხისტყა-

ოსნის“ ტექსტოლოგების ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!). მაგრამ რუსთაველის გენიალურ ქმნილებასთან მიმართებით ყოველი ასეთი მცდელობა მაინც განუზომელ მკრეხელობად აღიქმება. ცხადია, ასევე კეთილშობილია ნებისმიერი ისტორიული ძეგლის ნებისმიერი რესტავრატორის მცდელობა, გამოასწოროს დროთა ვითარებაში მიყენებული დაზიანება, მაგრამ ასეთი „დაკერებული“ ძეგლები ესთეტიკის თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომაც ზუსტია მეფე არჩილის პოეტური შეფასება გამოჩენილი ინტერპოლატორის — ნანუჩა ციციშვილის — ამგვარი ნამოღვაწარისა:

„ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია!
მასთან რას სწერდა მის ლექსსა? სირეგვნე მით მორევია!“

თუ როგორ სამსახურს უწევდა ინტერპოლატორთა აღნიშნული მონდომება „მარგალიტად წყობილ“ პოემის ტექსტს, ორიოდე მაგალითის შედარებითაც ნათლად ჩანს. გავიხსენოთ, როგორ არის ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ტარიელის ძებნად სამი წლის ვადით წასული ავთანდილის დროის დეფიციტი:

„ამას შიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“ (183,4).

„კეთილისმყოფელს“ კი ასე გადაუკეთებია:

„სამსა წელსა სამი თვეღა დარჩა, სხვასა გაეარა“.

ავთანდილის ანდერძის ცნობილი სტროფი (805):

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

ვინმე არამკითხეს კი ამგვარად „გაუკეთილშობილებია“:

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან აიწონების,
მიეც გლახაკთა და ხელ-ყავ თავისუფლება მონების.
შენ დაამდიდრე ყოველი, უქონო შექმენ ქონების,
დამლოცვენ, ჩემთვის იღვწიან, მიცემა მოეგონების“.

„ვეფხისტყაოსნის“ გამავრცობელთაგან ზოგი მართლაც დახელოვნებული ოსტატი ჩანს. მაგალითად, უცნობი პოეტი – ვინმე მესხი მელექსე, რომელსაც განუზრახავს ეპილოგის სრულყოფა, თუ არა ფაქტობრივი შეუსაბამობა, მართლაც ძნელად წუნდასადებ შაირს წერს:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა;
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა,
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა,
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“.

გამავრცობელი აქ თავს თვითონ აცხადებს, თუმცა მცირე დრო არ დახარჯულა ამ ბოლო ტაეპის ავტორისთვის მოსარგებად. შემდგომი სტროფებიც იმავე „მესხისა“ ჩანს, დასრულებული ცნობილი ლიტერატურათმცოდნეობითი ინფორმაციით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის
ცრემლშეუშრომელსა“.

რუსთაველისთვის მოღვაწე კიდევ ერთ პოეტად ცნობილია გიორგი თუმანიშვილი – თავადი, „სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი“. მას გაიოზ რექტორისათვის XIX ს-ის დასაწყისში დაუვალებია „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხის შექმნა, რისთვისაც გამოყენებული ყოფილა ვახტანგისეული გამოცემა. მეცენატს სერიოზული ტექსტოლოგიური ინტერესი გამოუჩენია და ტექსტის ხარვეზების გამოსწორებაზე უზრუნია. მასვე შეუნიშნავს, რომ ვახტანგისეულ რედაქციაში, „ინდოხატაელთა ამბის“ კლების გამო, სერიოზული ნაკლოვანება იჩენდა თავს ამბის განვითარებაში: ხატაელთა მიერ ინდოეთის მპყრობელობა ჩანდა, ხოლო გმირები უკვე თავისუფალ ინდოეთში ბრუნდებოდნენ. აი, ამ ხარვეზის გასასწორებლად შეუთხზავს გ. თუმანიშვილს 11-სტროფიანი მონაკვე-

თი, რომელიც ინდოეთში გმირთა დაბრუნების ცნობით იწყება:

„მუნით გაგზავნეს ინდოეთს კაცნი ამბავთა მცნეველად,
შესთვალეს: „მოვალს ტარიელ, მოჰყავსცა თვისი
მზე ველად...“

და მიჯნურთა ტახტზე ასვლით მთავრდება:

[დედოფალი ტარიელს და ნესტანს] „მიუძღვა და
ტახტსა დასხნა, სრულ ინდონი ულოცვიდეს,
დედოფალსა ტახტსა სხვასა შემკობილსა
ცალკე სდგმიდეს,
ავთანდილს და ფრიდონს მრავლად
უსასყიდლოს ძღვენსა სძღვნიდეს,
შექმნეს სმა და სიხარული, მათ შვებანი განადიდეს“.

კარგი ის არის, რომ აქ ნაყალბევობის კვალი საძებნი არ არის, ჩანართ ტექსტს ბარბარე ქობულაშვილის „პასპორტი“ ახლავს: „ეს თერთმეტი ლექსი გიორგი თუმანოვის ნათქვამია, და ძალიან მსგავსი ამ ვეფხისტყაოსნისა“.

ინტერპოლატორები, ცხადია, აქტიურად იყვნენ ჩართული პოემის ტექსტის გააზრებაში. მაგალითად, ინტერპოლატორს, რომელმაც იცის ხვარაზმელთა ამბავი, აუცილებლად მიუჩნევია, ამაზე მითითება ყოფილიყო ნესტანის გათხოვების თათბირის დროს და ჩაურთავს სტროფი (ხელნაწ. H-757):

„აქ მეფე არჩევს, ვაზირობს, არ ვიცი, რა მოჰხდებისა,
ხვარაზმშა მოჰყავს სასიძოდ, არა ჰგავს, არა ჰხდებისა;
იგ უცხო ვინმე საწყალი მოყმე უბრალო კვდებისა,
ნესტან-დარეჯან ტარიელს ყრის, მაგრა არ ეყრებისა“.

ინტერპოლატორთა ნახელავის გამოვლენისას საფრთხილოა, რომ მას დედნისეული სტროფებიც არ შეეწიროს.

არაერთი შემთხვევაა ისეთი, როდესაც რომელიმე სტროფი ერთ გამომცემელს დაუბეჭდავს, მეორეს კი – არა.

მაგალითად, იმ ეპიზოდში, რომელშიც თინათინი მამას „უცხო მოყმის“ კვალზე მძებნელთა გაგზავნას ურჩევს („გაგზავნე კაცი ყოველგან, მისთა ამბავთა მცნობელი“), ამ სტროფს ხელნაწერებში მოსდევს აზრობრივი გაგრძელება:

„თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი, ხმელთა მვლელად,
მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად;
თუ არ, ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შემცვლელ-მშლელად;
სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად?“

ვახტანგ VI-ის გამოცემაში ეს სტროფი არ შესულა; 1841 წლის „ბროსესეულ“ გამოცემაში კი ის ტექსტში დააბრუნეს; 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში კვლავ უარყოფილ იქნა; იგი არც ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემაში დაიბეჭდა; 1988 წლის გამოცემაში კომისიამ ისევ აღადგინა ეს სტროფი ტექსტში.

როგორც ითქვა, ინდო-ხატაელთა ამბავი შემდეგდროინდელ დანართად იქნა მიჩნეული (ვახტანგ VI, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე). დიდი დრო და ადგილი დაეთმო მთელი ამ ამბისა და მისი ცალკეული მონაკვეთების „ვეფხისტყაოსანთან“ კავშირზე მსჯელობას; მაგალითად, 1934 წლის ბოლოს ორგზის მოეწყო დისკუსია კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“, კერძოდ კი — „ინდო-ხატაელთა ამბის“ მასთან ორგანული კავშირის თაობაზე. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა და მწერლებმა, როგორებიც იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, იუსტ. აბულაძე, ვუკ. ბერიძე, შ. ნუცუბიძე, კ. ჭიჭინაძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ს. ჩიქოვანი, ა. გაწერელია და სხვ.

აკაკი შანიძემ 1966 წლის გამოცემაში ცხადად გამოხატა დამოკიდებულება პოემის შედგენილობის მიმართ:

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე რომ ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე რთულია მაინც მისი დაბოლოების საკითხის სწორად გადაწყვეტა. ხელნაწერებიდან აქ არ არის შემოტანილი ინდო-ხატაელთა ამბავი,

რომელიც, ჩემი აზრით, უთუოდ მერმინდელი დანამატებია. იგი პირველად კ. ჭიჭინაძემ შეიტანა თავის 1934 წ. გამოცემულს „ვეფხისტყაოსანში“... შემდეგ 1937 წლის საიუბილეო ქართულ ტექსტშიც დაბეჭდეს, წინააღმდეგ პოემის ტექსტის მაშინდელი დამდგენი კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრისა. შემდეგ და შემდეგ კი იგი იბეჭდებოდა ყველა ქართულ გამოცემაში და სხვა ენებზე ნათარგმნ ტექსტშიც. ინდო-ხატაელთა ამბის ამოღებით ეს გამოცემა შინაარსეულად დაუახლოვდა პირველ გამოცემას, ვახტანგისას (1712 წ.)“.

ამრიგად, საკმარისად იქნა დასაბუთებული ამ ეპიზოდის მნიშვნელოვანი ნაწილის არაავტორისეულობა, მაგრამ შემდეგდროინდელ ბევრ გამოცემაში ის მაინც შევიდა, როგორც გმირთა თავგადასავლის მხატვრული დასრულებისათვის აუცილებელი ნაწილი (ზოგ გამოცემაში მის დამატებითობას იმით აღნიშნავენ, რომ მას განსხვავებული შრიფტით ბეჭდავენ).

ასევე უეჭველად არის დასაბუთებული „ხვარაზმელთა ამბის“ გვიანდელი (XIV საუკუნის შემდგომი) დანართობა ძირითად ტექსტთან.

ხვარაზმელთა ამბავი ინდო-ხატაელთა ამბის უშუალო გაგრძელებაა („გაგრძელების გაგრძელება“). მას აქვს საკუთარი პროლოგი და ეპილოგი, რომლებშიც პოემის კიდევ ერთი გამავრცობელი აცხადებს თავისი თავგამოდების მიზეზს:

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა...
. . . . . .
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით“.

ეპილოგშიც ნათქვამია: „ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად...“ ეს ის სარგის თმოგველია, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში „დილარიანის“ ავტორად იხსენიება („დილარგეთ – სარგის თმოგველსა“...). ოღონდ ამ

ახალ ეპილოგში ნათქვამია, რომ სარგის თმოგველს ხვარაზმელთა ამბის გალექსვა ვერ მოუსწრია და ეს მის „პოეტურ“ მემკვიდრეს უღია კისრად. ამიტომაც ზოგი მკვლევარი (სახელდობრ, პ. ინგოროყვა) ვარაუდობს, რომ სარგის თმოგველს უნდა შეეთხზა ინდო-ხატაელთა ამბავი, ხოლო მისი გაგრძელება – ხვარაზმელთა ამბავი – პროზაულ ვარიანტად უნდა დარჩენოდა...

ხვარაზმელთა ამბის შექმნის მოტივაციაც დიდი საძებნი არ არის: ტარიელს ხვარაზმელთა სისხლი მართებს (სასიძო „უსისხლოდ“ მოკლა). და, აი, ერთხელაც ხვარაზმელთა მეფემ გაიგო, რომ ინდოეთში მორჭმით მჯდომელი ტარიელი ავად გამხდარა, და შურისძიება გადაწყვიტა: „აწ ჩვენ გვმართებს სისხლთა ძებნა, ნუ ვამყოფებთ დანამშვიდთა!..“ ასე გაილაშქრეს მათ ინდოეთზე. ტარიელმა თურმე ძმობილებს – ავთანდილსა და ფრიდონს – უხმო და გმირებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს მტერს თავიანთი ერთობის ძალა!..

ამას მოსდევს პოემის გმირთა სიკვდილის ამბები, რომელთა სრულიად ხელოვნურ მიტმასნაში „ვეფხისტყაოსნის“ გავრცობილ სიუჟეტთან უკვე არავის არ ეპარება ეჭვი. ამ სავალალო (პირდაპირი შინაარსით) თავების მხოლოდ დასახელებაც საკმარისია:

„ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალა“;

„სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა“;

„ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისა მისისა“;

„სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისი“;

„აქა ფრიდონისგან ორგანვე მისვლა და ტირილი“.

გამგრძელებელმა მთავარ გმირებს დამტირებელი დაუტოვა, მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ არც ფრიდონი იქნებოდა უკვდავი. ალბათ შემდეგი გამგრძელებლის იმედად!..

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელებას უწოდებენ თხზულებას, რომელსაც ავტორმა „ომანიანი“ („ომაინიანი“) დაარქვა. მისი შემქმნელის ფანტაზია უკვე პოემის გმირთა შთამომავლობაში გადადის. თურმე ტარიელს შესძენია შვილი – სარიდანი, ხოლო ავთანდილს - ასული. ტა-

რიელის ძეს შემდეგ შეურთავს ავთანდილის ასული და მათგან მოვლენია ქვეყანას ახალი გმირი – ომაინი, რომლის თავგადასავალსაც მოგვითხრობს აღნიშნული დამოუკიდებელი ნაწარმოები, თავის მხრივ, აღჭურვილი საკუთარი პროლოგითა და ეპილოგით.

„ომანიანის“ ავტორია XVI-XVII საუკუნეთა ცნობილი დიდებული და პოეტი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელსაც XVII ს-ის დასაწყისში ხან პროზად და ხან ლექსად შეუთხზავს ეს ნაწარმოები. მისი ღვაწლის შესახებ ცნობას გვაწვდის მეფე-პოეტი არჩილი:

„ქაიხოსრომან შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვისცმა მაემნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი“.

„გამორეულ ყვავილად“ თვით ეს თხზულებაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად

„ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორია ორგანულად ექსოვება მის გადამნუსხავთა თავდადებულ მოღვაწეობას. ხელნაწერი მემკვიდრეობა აჩვენებს, რომ ეს ტრადიცია ვახტანგისეული გამოცემის შემდეგაც გრძელდებოდა და ზოგჯერ ამ რედაქციითაც იყო დავალებული. ამიტომაც აკადემიურ რუსთველოლოგიაში ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერი მემკვიდრეობის ღირებულებას იძენს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ ცალკეული ხელნაწერები, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული გამოცემაც პოემის ტექსტის დამოუკიდებელ ვერსიად იქცა.

მეფე ვახტანგ VI-მ პოემა 1712 წელს დაბეჭდა.

ფაქტობრივ ამ გამოცემის მომზადებითა და ბეჭდვით იწყება პოემის ტექსტის კრიტიკული შესწავლისა და აკადე-

მიური გამოცემის ისტორია, მეტიც, რეალურად ამით ეყრება საფუძველი რუსთველოლოგიას.

ვახტანგ VI, როგორც კვლევებმა დაადასტურა, იყენებს სხვადასხვა ნუსხათა ჩვენებას, კრიტიკულად სწავლობს ტექსტს და ადგენს პოემის სტროფულ შედგენილობას. იგი პირველად აკანონებს „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. მოკლე რედაქციას (აღნიშნული დანართების გარეშე) და მას ურთავს სათანადო სამეცნიერო აპარატს – თარგმანებას, კომენტარებს, ლექსიკონს.

სანიმუშოდ იმისა, თუ რა ფუნქციას აკისრებს მეფე-პოეტი „თარგმანებას“, მოვიხმოთ ორი მაგალითი:

1. რომელმან ზეძღნა. ღმერთმან შექმნა ქვეყანა, ქვეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეციდამ სული ცხოველი მოჰბერა, რომელნიც მყოფნი ვართ. ხოლო მრავლის ფერის შემკობით კაცთა მისცა სოფელი. და ყოველი ხელმწიფობა, ვითარცა იტყვის პავლე, ზეგარდამო არს. აგრევ ესეც ამას უბნობს, რომე ღვთისაგან არის ყოველი ხელმწიფება, იმავ ღვთის მიმზგავსებულობით.

49. ვარდთა და ნეხვთა. მეფეთ ქებად მზეც ითქმის. და იმას უბნობს: რადგან იმას შესდარებია მეფენიო, როგორც ის თავის შუქს არც ავს და არც კარგს დარიდებსო, ისე შენ გმართებსო, რომე წყალობა არ რიდოო; რომ უხობით, ახსნილი მტერი რომ გყვანდესო, დააბამო, თვით არ დაებმისო. და გაცემას უადვილებს, ასწავლის მეფეთ: როგორც ზღვას შესდის და გაედინებისო, ისე შემოგდის და გაეცო. და ზღვის გადენაც უთქვამს, რომ ბევრმა კაცმა არ იცის, ზღვას გაზდის თუ არაო, – უსწავლებია. და ეს რაც ამ წიგნს უკან მეფეები ყოფილა და იქნებიან, ყველას სწავლა ამ ამბვის მოყვანით და თქმით მეფეთ საქციელი უთქვამს, რომ ისწავლონ.

როგორც მეფე, ვახტანგ VI სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით უდგება პოემის გამოცემის საქმეს: „ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დავშვერო“.

მეფისავე განმარტებით ეს ძალისხმევა განპირობებული ყოფილა ჟამთა უკეთურების გამო „ვეფხისტყაოსნის“ შესაფერისად დაუფასებლობით: „წიგნსა ამას უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ

მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა“.

სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოცემის ხარისხზეც ალიბეჭდა: წიგნი მდიდრული გამოცემაა, გამოყენებულია სპეციალური შრიფტი და სხვადასხვა ფერის მელანი, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები დაბეჭდილია წითელი მელნით.

სატიტულო ფურცელი, დღევანდელი გაგებით, ასეთი ტექსტით არის გაფორმებული:

ვეფხის ტყაოსანი :

ანუ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამა

ღირებულისა საქართველოს მპყრობელისა

უფლისა უფლისა ვახტანგისსა :

შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა :

გაიმართა ქალითა ქალწულითა კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა : ქალაქსა ტფილისისასა

ქრისტეს აქეთ

ათას შვიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა :

გამოცემის თავფურცლის მეორე გვერდზე განთავსებულია ბაგრატიონთა გერბის ერთლომიანი ვარიანტი, რომელიც ჩასმულია მცენარეული ორნამენტის ჩარჩოში და ახლავს ტექსტი „ბეჭდის იგავი“.

როგორც ვახტანგის სტამბის ყველა გამოცემას, წიგნს ერთვის მეფის პორტრეტი, გარშემო დეკორატიული ასომთავრული წარწერით: „მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა... გამგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ...“

„ვეფხისტყაოსანი“ მეორედ დაიბეჭდა პეტერბურგში, 1841 წელს; რედაქცია ეკუთვნის მარი ბროსეს, თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მონაწილეობით; მას მოკლედ „ბროსეს გამოცემას“ ეძახიან. მარი ბროსემ მას წაუმძღვარა მეცნიერული ნარკვევი პოემის იდეისა და პოეტური თავისებურების შესახებ.

ეს გამოცემაც მოკლე რედაქცია არის, ოღონდ ვახტანგის გამოცემასთან შედარებით მას დამატებული აქვს 5 ათეულამდე სტროფი.

მესამე გამოცემაც – დ. ჩუბინაშვილის რედაქციით – პეტერბურგში დაიბეჭდა 1860 წელს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის პირველ პრეცედენტად უნდა შეფასდეს ის ინიციატივა, რომელიც წამოაყენეს XIX საუკუნის ცნობილმა მოღვაწეებმა – რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ და რომლის საფუძველზეც მიზნად იქნა დასახული პოემის ტექსტის დადგენა გამოცემული ტექსტისა და არსებული ხელნაწერების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამ სამ მოღვაწესთან ერთად კომისიის შემადგენლობაში შედიოდა იმდროინდელ გამოჩენილ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, სერგი მესხი, გაბრიელ ქიქოძე, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი, დავით ერისთავი.

კომისიის ხელმძღვანელი იყო გრ. ორბელიანი, ხოლო მდივანი – ი. მეუნარგია. კომისიის სხდომების ანგარიში ქვეყნდებოდა გაზეთ „დროების“ ნომრებში.

1880 წლის 15 ნოემბერს კომისიამ „დროების“ მეშვეობით განცხადებით მიმართა ქართველ საზოგადოებას, რათა გაეწიათ მნიშვნელოვანი სამსახური საქვეყნო საქმისათვის იმით, რომ მიეცათ კომისიისთვის შესაძლებლობა, ესარგებლა მათ ხელთ არსებული ხელნაწერი ნუსხებით.

ამ მიმართვამ, ცხადია, შედეგი გამოიღო და კომისიას 20-ზე მეტი ხელნაწერი მოუგროვდა. 1881 წლის დასაწყისიდან კომისია შეუდგა ტექსტის დადგენაზე მუშაობას, რაც წარმატებით დასრულდა 1882 წლის დასაწყისში.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოემის დასასურათებლად მოწვეულ იქნა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელმაც საყოველთაოდ ცნობილი მაღალი დონის ილუსტრაციები შექმნა.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს განსაკუთრებული გამოცემა XIX საუკუნის წიგნიერმა საზოგადოებამ მიიღო 1888 წელს. გამოცემა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში, ცნობილია ქართველიშვილის სახელით, ვინაიდან წიგნის ბეჭდვის ხარჯები მთლიანად გაიღო ცნობილმა ქართველმა მეცენატმა დავით ქართველიშვილმა.

ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით ამ გამოცემას მოაკლდა 16 სტროფი და ხელნაწერებიდან დაემატა 5 ახალი სტროფი.

XX საუკუნის დასაწყისიდან ზედიზედ გამოიცა განსხვავებული შედგენილობის რედაქციები:

დავით კარიჭაშვილისა – 1903 და 1920 წლებში;

სარგის კაკაბაძისა – 1913 და 1927 წლებში;

იუსტინე აბულაძისა – 1914 და 1926 წლებში;

კონსტანტინე ჭიჭინაძისა – 1934 წელს.

ს. კაკაბაძისა და ი. აბულაძის მიერ გამოცემული პოემის ტექსტი ე. წ. ვრცელი რედაქციის შემცველია.

1956 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა პოემის ვრცელი რედაქციის ტექსტი ყველა ჩანართითა და დანართით.

1937 წელს აღნიშნულ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე და ამ წელს გამოიცა რუსთველოლოგთა კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი. გამოცემას აწერია: „დაიბეჭდა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით". სარედაქციო კოლეგია: ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე, კ. ჩარკვიანი. წინასიტყვაობა ეკუთვნის პ. ინგოროყვას, ლექსიკონი — იუსტ. აბულაძეს.

1937 წელს ა. შანიძემ აღადგინა ვახტანგ მეფისეული „ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის გამოცემა.

1951, 1957 და 1960 წლებში იბეჭდება გამოცემა, რომლის რედაქცია ეკუთვნის ა. შანიძეს, კ. კეკელიძეს და ალ. ბარამიძეს.

პავლე ინგოროყვას რედაქციით — 1953 წლის გამოცემა.

1966 წელს გამოვიდა ნაწარმოების ახალი რედაქცია, რომლის ტექსტი მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენმა კომისიამ გიორგი წერეთლის, სარგის ცაიშვილისა და გურამ კარტოზიას შემადგენლობით.

ამავე დროს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" სპეციალური საიუბილეო გამოცემა ორი სახით. პირველის სარედაქციო კოლეგია ასეთია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი.

გამოვიდა აგრეთვე კრიტიკული გამოცემა, მომზადებული ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის მიერ; ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ.

რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეოდ მკითხველმა მიიღო „ვეფხისტყაოსნის" ხუთი ახალი გამოცემა. დაიბეჭდა აგრეთვე პოემის თარგმანები რუსულად (შ. ნუცუბიძისა და ნ. ზაბოლოცკისა), ფრანგულად (ს. წულაძისა), ინგლისურად (მ. უორდროპისა).

რუსთაველის საიუბილეო — 1966 — წლისათვის მზადება, მისი მასშტაბები და შედეგები ალბათ განუმეორებელ მოვლენად დარჩება საქართველოს ისტორიაში.

ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია 1960 წლის სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმში, რომელიც მიზნად ისახავდა რუსთაველის ნაკვალევის

ძიებას წმინდა მიწაზე, ანუ იმ ისტორიული ცნობების გადამოწმებას, რომლებიც გენიალური პოეტის ბიოგრაფიის საკვანძო ინფორმაციას ჰპირდებოდა სამეცნიერო საზოგადოებას; განსაკუთრებული მოლოდინი იყო, რომ იქ აღმოჩნდებოდა პოეტის საფლავი.

ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი.

ქართველ მეცნიერებს ჯვრის მონასტერი ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაში დახვდათ: გადაღებილი იყო ქართველ მეფეთა და საეკლესიო მოღვაწეთა თითქმის ყველა ფრესკა, ხოლო ჯვრის მონასტრის იმჟამინდელი მფლობელები – ბერძნული ეკლესიის იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლები – ყველანაირ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართული ექსპედიციის მიზანდასახულების შესრულებას.

ექსპედიციის წევრებმა მაინც შეძლეს რუსთაველის ფრესკის გაწმენდა და მისი ფოტოსურათების გადაღება. ირ. აბაშიძემ თავის დღიურში ამგვარად აღწერა ეს ფაქტი: „გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი... თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე. მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი“. შოთას სურათს მიწერილი აქვს: რუსთაველი, ხოლო ზემოდან წერია: “ამის დამხატავს შოთა[ს] შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ".

მართალია, რუსთაველის საფლავი ვერ იქნა მიგნებული, მაგრამ ექსპედიციამ მაინც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. დაიწერა რამდენიმე გამოკვლევა, ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიური“ და ცნობილი ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“.

პოემის სხვადასხვა გამოცემათაგან ტექსტის შედგენილობის თვალსაზრისით საინტერესოა გამოცემები: პ. ინგოროყვასი (1960 წ.), ნ. ნათაძისა (სასკოლო, 1974 წ.); აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა (1988 და 2006 წლებში)...

ცალკე ისტორია აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ადაპტირებულ გამოცემებს სასწავლო მიზნებისათვის; ასეთია, მაგალითად, ნ. ნათაძის დასახელებული გამოცემა; გაკეთდა რამდენიმე

შემოკლებული ვარიანტი სასკოლო ქრესტომათიისათვის; სასწავლო მიზნით შეიქმნა ასევე რამდენიმე პროზაული ვერსია პოემისა: კ. კეკელიძისეული მოკლე შინაარსი, შესული „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, მ. ებრალიძის „რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა შესახებ მკითხველს შეუძლია სრული ინფორმაცია მოიძიოს სპეციალურ ილუსტრირებულ ბიბლიოგრაფიაში, რომელშიც გენიალური პოემის მშობლიურსა და უცხო ენებზე გამოცემული 503 სხვადასხვა წიგნია შესული; მასზე მუშაობდნენ მ. ჩხეიძე და ლ. თაქთაქიშვილი; წიგნი დაიბეჭდა 2009 და, შევსებული, 2015 წელს.

რადგან „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას რუსთაველის მემკვიდრეობის შესწავლასა და რუსთველოლოგიის მეცნიერული საფუძვლების შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, მის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გთავაზობთ:

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შეიქმნა 1962 წლის 27 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით. მისი შემადგენლობა ასეთი იყო: ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), ილ. აბულაძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. გიგინეიშვილი, ის. დოლიძე, ვ. თოფურია, პ. ინგოროყვა, გ. ლეონიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, არნ. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი და სწავლული მდივანი – მამია ებრალიძე.

ასევე შეიქმნა ტექსტის გამოცემის მოსამზადებლად მთავარი რედაქცია: გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ა. შანიძე, მ. ებრალიძე.

1963 წლის აგვისტოდან მ. ებრალიძე გათავისუფლდა და კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად დაინიშნა სარგის ცაიშვილი, კომისიის სწავლულ მდივნად – რობერტ თაგაური; 1966 წლის მარტიდან სწავლულ მდივნად დაინიშნა გურამ კარტოზია.



იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრები:
აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი.

კომისიამ თავის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პოემის აკადემიური გამოცემის მომზადების ძირითადი პრინციპები (ეს პრინციპები სრულად ჩამოყალიბებულია გ. წერეთლის წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ (მნათობი, 2, 1962).

კომისიის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იქნა დასახული სალექსიკონო მასალის ამოწერა ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან. კომისიის სალექსიკონო ფონდის შექმნას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: მ. ებრალიძე, შალვა ღლონტი, გურამ კარტოზია, თინათინ ცქიტიშვილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მემკვიდრეობა შესწავლილ იქნა რედაქციულად, რაც აისახა ს. ცაიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ (ტ. 1, 1970, ტ. 2, 1971).

მომზადდა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1969 წელს დაამტკიცა კომისიის ახალი შემადგენლობა; კომისიას დაემატნენ წევრები: ა. გვახარია, მ. თოდუა, გ. იმედაშვილი, ივ. იმნაიშვილი, ნ. კეცხოველი, ც. კიკვიძე, დ. კობიძე, ი. მეგრელიძე, შ. მესხია, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

1968-1973 წლებში კომისიამ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველი ტომი (258 სტროფი); 1969 წელს სანიმუშოდ გამოქვეყნდა პირველი 15 სტროფი.

1973 წელს, აკად. გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მთავარი რედაქციის ახალი შემადგენლობა: ალ. ბარამიძე (მთ. რედაქტორი), ი. აბაშიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია (სწავლული მდივანი), ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), შ. ძიძიგური.

1974 წელს დაიწყო მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმების ბეჭდვა აკადემიის „მაცნეში“ (ენისა და ლიტ. სერია) და 1988 წლამდე გრძელდებოდა.

1984 წელს კომისიამ ტექსტის დადგენა დაასრულა და ტექსტის ეს რედაქცია მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა 1988

წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის ეგიდით (ალ. ბარამიძე [მთ. რედაქტორი], გ. წერეთელი [მთ. რედაქტორი], ს. ცაიშვილი [მთ. რედაქტ. მოადგილე], გ. კარტოზია [მთ. რედაქციის სწავლული მდივანი], ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ივ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ელ. მეტრეველი, შ. ძიძიგური).

1985 წლიდან კომისია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1997 წლის 9 დეკემბრიდან კომისიის ხელმძღვანელად და მთავარ რედქტორად დაინიშნა აკად. თამაზ გამყრელიძე.

2006 წლიდან კომისია უშუალოდ ექვემდებარება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. მას აკად. გ. წერეთლის სახელი მიენიჭა და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი (შემოკლებით „ვეფხისტყაოსნის კომიტეტი“) ეწოდა.

კომიტეტი ძირითად მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტისა და კომისიის კვლევითი მემკვიდრეობის გამოცემასა (რომელთაგან ზოგი რამ უკვე განხორციელდა) და ქართული ენის თესაურუსის შედგენას.

კომისიის (შემდგომ – კომიტეტის) ღვაწლითა და სახელით საზოგადოებამ მიიღო არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა: „ვეფხისტყაოსანი“ გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით, 1966; ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. 1-2. 1970-71; გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, 1973; 2009 წელს გამომცემლობა „სეზანმა“ დაბეჭდა კომისიის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ამ კომისიის წევრების – გ. კარტოზიას, თ. ცქიტიშვილის, გ. არაბულის – ახალი სწორებებით; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, წიგნი 1 (1973-1979), თბ. 2011; წიგნი II (1979-2006), თბ. 2013; გამოვიდა რამდენიმე ტომი რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიისა (I ტ. – 1957; II ტ. - 2002; III ტ. [I-II ნაწილად] – 2013; IV ტ. – 2009; V ტ. – 2012); 2013 წელს

„რუსთაველის კომიტეტის“ გრიფით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ პ. მარგველაშვილის რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით; ამავე გამოცემას ახლავს პოემის რამდენიმე გამოცემის (ვახტანგ მეფისეული 1712 წლისა; ტექსტის დამდგენი კომისიისეული 1988 წლისა; ნოდარ ნათაძისეული; იოანე ავალიშვილისეული) ელექტრონული ვერსია.

მკვიდრი კავშირი წარსულსა და მომავალს შორის

რუსთაველმა არა მხოლოდ შეუდარებელი პოეტური ხელოვნებითა და სრულიად ახალი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობით შექმნა ქართული კულტურის განვითარების განსაკუთრებული, თვისობრივად ახალი საფეხური, არამედ ენობრივადაც განსაზღვრა ფუნდამენტური ისტორიული მოსაბრუნი; სწორედ მან დაუდო სათავე ენობრივ ცვლილებათა ახალ სისტემად, ახალ თვისობრიობად ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ეტაპს. ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ გვევლინება მონუმენტურ „წყალშემკრებად“ პოეტის თანამედროვე ფილოსოფიური შეხედულებებისა და მაღალი პოეტური კულტურისა, ასევე, ენობრივი თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ არის რაციონალური სინთეზი ძველი და ახალი ქართულისა. იგულისხმება ენის განვითარების ისეთი ოპტიმალური გზის მოძებნა, როდესაც, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია ძველი ქართულის სისტემური სიმტკიცე, ხოლო მეორე მხრივ, გაბედულად შემოდის ცოცხალი ენობრივი სიახლეები; და ეს ორი ჯანსაღი წყარო წარმატებით არის გამოყენებული სწორუპოვარი პოეტური ქსოვილის შესაქმნელად.

ყოველი დიდი შემოქმედი ალბათ თავისებურად განასახიერებს დროთა ეგზისტენციურ კავშირს – აჯამებს და აგვირგვინებს გარდასულის მემკვიდრეობითს გამოცდილებას და სათავეს უდებს მომავლის განვითარებას. ეს მით უფრო ითქმის რუსთაველზე, რომელმაც არსებითად შექმნა სრულყოფილი, თვითკმარი ფილოსოფია – იპოვა ადამიანის ყო-

ფიერების კვინტესენცია, რომელიც დააფუძნა კაცობრიობის მთელ მანამდელ გამოცდილებაზე, და ფაქტობრივ უკვდავი შინაარსი მიანიჭა „ღმრთის დანაბადის“ საამქვეყნო დანიშნულებასა და მოღვაწეობას.

მაგრამ რუსთაველის გენიალური ჭვრეტა ამჯერად გვაინტერესებს ქართული ენის დიდი ისტორიის თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რუსთაველმა ზუსტად განსაზღვრა ქართული ენის განვითარების შინაგანი ბუნება, მისი შ- ჩოქმედებითი ენერგია და იმანენტურ ცვლილებათა დი იკა, ასევე ზუსტად განჭვრიტა ენის განვითარების პერსპექტივა და საზღვრები და, ამ ხედვის გათვალისწინებით, მკვიდრი ხიდი გადო მონოლითურ მწიგნობრულ ძველ ქართულსა და იმ ახალ სალიტერატურო ენას შორის, რომელიც არსებითად პოეტის თანამედროვე საზოგადოების მეტყველებას განასახიერებდა.

ერთგვარი ტექნოკრატიული მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, რუსთაველმა შექმნა ახალი სალიტერატურო ენა, რომლის კარკასად ძველი ქართულის სისტემა იქნა გამოყენებული, ხოლო მისი ხორცშესხმა, ახალ ენობრივ რეალობად ქცევა პოეტის თანამედროვე ლექსიკურ და გრამატიკულ მონაცემთა ზუსტი გამოყენებით მოხდა.

სწორედ ეს იგულისხმება „მკვიდრი ხიდის“ გადებად ძველსა და ახალ ქართულს შორის.

მიუხედავად იმისა, რამდენ (ორ თუ სამ) საფეხურად ყოფს რომელიმე მეცნიერი ქართული ენის განვითარების ისტორიას, ყველა აღიარებს, რომ ქართული ენის არსებობის თვისობრივად ახალ პერიოდს რუსთაველმა ჩაუყარა საფუძველი.

აკაკი შანიძე აღნიშნავდა:

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, მაგრამ პირველ ყოვლისა ის არის ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“ (ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ., 1956: 18).

არნოლდ ჩიქობავა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მეორე პერიოდის, ანუ ახალი ქართულის დასაწყისად „ვეფხისტყაოსნის“ ენას მიიჩნევდა. მეცნიერი რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ პრობლემას და გამოწვლილვით

წარმოაჩინა ძველისა და ახლის თანაარსებობის ხასიათი ნაწარმოების პოეტურ ქსოვილში.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში არაბულ-სპარსული და თურქული სიტყვები [ვლინდება]... ამ შეთვისებულ სიტყვათაგან ზოგი ქართული სიტყვის ადგილას სახლდება, ზოგიც პარალელურად არსებობს და მნიშვნელობის ერთგვარი ცვლით მკვიდრდება“, – აღნიშნავს არნ. ჩიქობავა და ჩამოთვლის ზოგ იმ სიტყვას, რომელთა დამკვიდრებას „ვეფხისტყაოსანმა“ შეუწყო ხელი: ამხანაგი, ნადიმი, სევდა, ფარდაგი, ქარავანი, მათრახი, ალყა, ღალატი, ნატიფი, ფათერაკი, დუხჭირი, ნიანგი, პაემანი, თათბირი, დასტაქარი, მუდარა, დაძაბუნება, ბულბული, ბაღი, ვაზირი, ბატი, არამი...

„ლექსიკაში „ვეფხისტყაოსანი“ ახალ ქართულთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვინემ მორფოლოგია-სინტაქსის თავისებურებათა მიხედვით“ (არნ. ჩიქობავა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. – „მნათობი“, 1966, №9).

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად თავისუფალია რუსთაველის დამოკიდებულება აღმოსავლური ლექსიკის მიმართ და ეს „სითამამე“ განსაკუთრებით თვალშისაცემია კლასიკური, ბიზანტიურ ორიენტაციაზე დაფუძნებული სასულიერო მწერლობის ენის ფონზე. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველი ამ შემთხვევაშიც ზუსტად ჩასწვდა ქართული ენის ღია, ტოლერანტულ ბუნებას, საოცრად (უფრო ზუსტად, ბუნებრივად) თანხვედრილს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადი მსოფლაღქმასა და სულისკვეთებასთან. „მოსულისადმი“ თავისუფალი, მიმნდობი დამოკიდებულება ნიშანია „მიმღების“ სიძლიერისა და თავდაჯერებულობისა, ხოლო სიძლიერედ, ენის შემთხვევაში, მიჩნეულია გრამატიკული სისტემის განსაკუთრებული მოქნილობა და გამძლეობა.

არნ. ჩიქობავა „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილ ენობრივ ცვლილებებს, საზოგადოდ, ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს:

„ვეფხისტყაოსნის“ ენა აღარაა ძველი ქართული, სალიტერატურო სარბიელზე გამოსულია ახალი სალიტერატურო ქართულის წინაპარი.

რამ გაუკაფა მას გზა? სპორიანტაციით ახალი დიალექტის არჩევაში, აღმოსავლეთ საქართველოს გარის ძილოებისაკენ გეზის აღებაში. ძვ. ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე – ესაა პროცესი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისა.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერისას ეს პროცესი კარგა ხნის დაწყებული იყო. ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს, ქუთაისიდან პოლიტიკური ცენტრის ტფილისში გადმოსვლას გულისხმობს და მას მოსდევს„ (არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. – ენიმკის მოამბე, ტ. 3, 1938, გვ. 227).

გარდა ლექსიკისა, რა ენობრივი ნიშნები გვიჩვენებს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ახალი ქართულის საფუძვლის ჩამყრელად გვევლინება?

1. მოთხრობითის -მა ნიშნის დამკვიდრება;
2. „ვეფხისტყაოსანში“ ჲ აღარ იხმარება (თუ დასჭირდა, ამ პოზიციაში ავტორი სრულ ი-ს იყენებს: პ ა შ ტ ა ი, ყ ვ ე ლ ა ი ...);
3. -მდის თანდებულთან ბრუნვის ნიშნის -დ თანხმოვნის დაკარგვა;
4. ისი ნაცვალსახელი იგი-ს გვერდით;
5. I ობიექტური პირის ნიშნად მრავლობითში – ოდენ გვ-;
6. მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა („ორნი კაცნი მივიდოდეს...“);
7. არს მეშველი ზმნა გადასულია ა-ში (დასაგმობია...);
8. I თურმეობითის გადასვლა -ია დაბოლოებაზე (მომსურგეგია);
9. მეშველი ზმნის დამკვიდრება (შეუსწრივარ...)

და სხვ.

ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ არცთუ იშვიათად პოემის ტექსტში ძველი და ახალი ნორმა თანაარსებობენ, მათ შორის – დასახელებულ შემთხვევებშიც. მაგალითად, ცნობილია, რომ მოთხრობითი ბრუნვის ორივე ფორმაა საჭიროებისამებრ გამოყენებული; ნიმუშად ერთი და იგივე ნაცვალსახელი რომ ავიღოთ (მათ შორის, ერთსა და იმავე სტროფში):

„ანუ ეგრე რაჲ დაგლია, ანუ პირველ რაჲ გაგავსო?
რაჲმან შექმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე რგავსო“
(59, 2-3);
„ვერა ნახეს სულიერი, ვერცა რაჲმან შეაშინა“ (1126, 3).

აკაკი შანიძე აღნიშნავდა:

„როგორც ყოველ მწერალს, რუსთველსაც არ ექნებოდა დაცული ფორმათა ერთგვაროვნობა ყველგან, პოემის მთელ მანძილზე; მასაც უთუოდ ექნებოდა ნაირ-ნაირი დაწერილობა ამა თუ იმ სიტყვისა და ფორმისა. პოემის ავტოგრაფის უქონლობის გამო არ ვიცით, მაგ., რამდენად სისტემებრ ხმარობდა იგი ჰ-ს მე-2 სუბ. პირის ნიშნად ან მე-3 ობ. პირის ნიშნად“... (ა. შანიძე, 1966, 14-15).

საზოგადოდ, ერთი ინდივიდის ენობრივ პრაქტიკაში ვარიანტულობა მოსალოდნელი არ არის (თუ პროცესში სოციოლინგვისტური ფაქტორი არ არის ჩართული; მაგ., რძლის (გათხოვილი ქალის) სამეტყველო „გადართვები“ ახალ ენობრივ გარემოში).

მაგრამ რუსთაველი ჩვეულებრივი ენობრივი ინდივიდი არ არის. იგი მატარებელია არა მხოლოდ დიაქრონიული წიგნიერი ქართულის სრული სიმდიდრისა, არამედ, როგორც ჩანს, იგი ერთიანად „ფლობს“ ეროვნული ენის სივრცულ ნაირსახეობებსაც.

უთუოდ ესეც არის მიზეზი იმისა, რომ გენიალური პოეტის ენობრივი კუთვნილება დღემდე არ არის დამაჯერებლად ახსნილი.

ფაქტია, რომ ენობრივ ერთეულთა ვარიანტულობა (ზოგჯერ ერთი გრამატიკული ფორმის სამი-ოთხი ნაირსახეობაც კი) პოემის ნიშანდობლივი თვისებაა.

შორს რომ აღარ წავიდეთ, კვლავ რა ნაცვალსახელის ფორმაწარმოებითს ნაირგვარობას დავაკვირდეთ:

ამისათვის გავიხსენოთ, რომ ძველ ქართულში ჩანს რა ნაცვალსახელის უკვეცელი ფუძე: რა-ჲს(ა); რა-ჲთ(ა). ამ ვითარების უშუალო გაგრძელებაა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში შემორჩენილი ფორმები: რაის, რაის[ა]თვის, რაისად, რაიზა // რეიზა, რაით, რათ, რათგან // რადგან, რაები (→ რეები)...

ამავე დროს, როგორც ჩანს, არსებობდა დიალექტური წრე, სადაც რა ნაცვალსახელის კვეცადი ვარიანტი ფუნქციონირებდა, რომელმაც გზა გაიკაფა ახალ სალიტერატურო ქართულში და შემორჩა ცენტრალური დიალექტების ნაწილში: რის(ი), რით(ი), რისთვის (რითვინა) // რისათვის, რისაგან, რიდან, რები...

მასალობრივად დასტურდება, რომ რუსთაველი უკვეცელი დიალექტური წრის მემკვიდრეა (ა. შანიძე, ალ. ჭინჭარაული). მაგრამ რა ნაცვალსახელის ფორმაწარმოების ჩვენება უეჭველად წარმოაჩენს, რომ იგი ორივე დიალექტური წრის გამოცდილებას იყენებს, ანუ სისტემური ვარიაცია მისი მხატვრული ენის ბუნებაა (1988 წლის გამოცემის მიხედვით):

ერთი მხრივ:

უბრძანა: „რა გჭირს, რას იტყვი, რასთვის ხარ აგრე ვებული? (1100, 2);

ვჰკადროთ რამე სალაღობო, რასათვისმცა გაგვაწბილა? (58, 4);

თქვენთა მჭვრეტთა მღერა მართებს, რასათვისმცა ივაგლახეს! (1451, 4);

მოგყიდონ, ფასი მიეცით, რასაცა იყვნენ მნდომელნი (1129, 4) [1957 გამოც.: რისაცა];

წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი (216, 3)...

მეორე მხრივ:

დავკაზმეთ ნავი-კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა;
კაცი ხმდა, მისთა მჭვრეტთათვის ღონემცა ეაჯა რისა (611, 3);

მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი! (624, 3);

ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად (278, 4)...

ერთი მხრივ:

ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს (303, 4);

მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ იხსნების?“ (1179, 1) [1957: რით];
აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ მოგეხმარები! (1466, 1) [1957: რით];
რასათვისცა გამოჭრილვარ, მისი ძებნა რათგან მინა [1957: რისათვისცა],
რათაცა ვით ვჰპოვებ, მას ვიქ, გულმან სხვამცა რა ისმინა! (1087, 3-4) [1957: რათამცა];
რათაგელა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს? (29, 3) [1957: რათამცაღა];
მან უთხრა წვრილად ყველაი, თქვენ ხართ რათაცა ჭირითა (1278, 2) [1957: რითაცა];
გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რათგე ნავითა (1322, 1) [1957: რითმე];
პირველ, შეჰყრის მოყვარულთა ჩემით რათგე მიზეზითა (302, 3) [1957: რითმე]...

მეორე მხრივ:
ავთანდილს უკვირს: „ამბავი ისი თუ ვცანო მე რითა?!“ (221);
რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანერთსა რითა ვჰგვანდით? (290, 1);
ვერ უპოვოს, რა ქმნას, ანუ გული რითა დაიწყნაროს! (765, 4);
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა? (797, 3);
შენ არ შემიყრი, გამიყრი, აწ ჩემი ლხინი ვთქვა რითა? (884, 4);

ერთი მხრივ:
ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად! (459, 1);

მეორე მხრივ:
აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული! (110, 1);
იქით-აქათ იჯრებოდეს: „უჭვრიტოთო ამას რულად! (1071, 2)...

როგორც ვარიანტების მითითებაშიც ჩანს, ხელნაწერები ზოგი სანიმუშო ფორმის განსხვავებულ წარმოებასაც ადასტურებს, მაგრამ მათი გამოყენება სარითმო სეგმენტსა და რიტმული კანონზომიერებით უფრო მეტად დაცულ ზოგ სხვა შემთხვევაში მაინც მყარ საფუძველს ქმნის წარმოდგენილი მონაცვლეობის ავტორისეულად მიჩნევისათვის, რაც, ცხადია, სანიმუშოდ მოხმობილი ერთი ნაცვალსახელით არ ამოიწურება. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მხატვრულთან ერთად, გრამატიკული „პარალელიზმი“ რუსთაველის კიდევ ერთი შემოქმედებითი თავისებურებაა.

კიდევ ერთი ხერხი, რომლითაც რუსთაველი ენობრივ შესაძლებლობათა შემოქმედებით რეალიზაციას აღწევს და ამით ოსტატურად ძლევს იმ პროსოდიულ შეფერხებას, რომელსაც მოქმედი ენობრივი ერთეულები არ „ჰყოფნის“, არის ოკაზიურ ფორმათა წარმოება. აღიარებულია რუსთაველის ვირტუოზული ენობრივი „ექსპერიმენტები“ ამგვარ თავისუფალ წარმოებათა დანერგვაში:

„ბროლ-ბადახში გაალაწვეს და გიშერი აწამწამეს“;
„ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს“;
„მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაძგანე“;
„ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“...

რუსთაველის დახვეწილი პოეტური ოსტატობაა ისიც, რომ მოულოდნელ ოკაზიონალიზმს იგი ხშირად აწყვილებს იმავე სიტყვის უზუალურ ფორმასთან, რათა მკითხველს ენობრივი სიახლის წვდომა გაუადვილოს:

„შენ გენუკევ, შემაჯერო, ღმერთი ილმართო, ცაცა იცო“;
„შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი ჩემმან ძედმან მიიძედნეს“;
„აწ, თავმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა გადესა“;
„აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაბანცა უფრო დესი“...

როგორც კვლევებიდან ჩანს, ენობრივი მონაცემებიც არ იძლევა გადამჭრელ პასუხს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სა-

დაურობის შესახებ. აღინიშნა, რომ საფუძვლიანი მტკიცება არსებობს რუსთაველის მესხური წარმომავლობისა (ს. ცაიშვილი, ნ. შოშიაშვილი...); სიცოცხლის ბოლო წლებში ახალ ენობრივ არგუმენტებს წარმოაჩენდა ალ. ჭინჭარაული პოეტის ჰერეთიდან წარმომავლობის სასარგებლოდ...

რადგან დღემდე გადამწყვეტი პასუხი არ მოიპოვება, ამ საკითხს მეტად აღარ ჩავუღრმავდებით.

გვარწოდება რუსთაველი რომ წარმომავლობით გეოგრაფიულ პუნქტს უკავშირდება, ამას სადავოდ არავინ ხდის. მაგრამ რომელია ის რუსთავი, რომელსაც პოეტმა უკვდავება მიანიჭა, აქამომდე ზუსტი პასუხი არ გასცემია. ისტორიულად საქართველოში რამდენიმე ქალაქი და სოფელი დასტურდება ამ სახელწოდებით. თვით გვარწოდების წარმოება კი ადასტურებს, რომ ასე მოხსენიებული პირი შესაბამისი ადგილის მფლობელი ან, შესაძლოა, ამ სახელწოდების ეპარქიის სულიერი იერარქი უნდა ყოფილიყო... საინტერესოა, რომ X საუკუნის ხელნაწერში გამოჩნდა ფეოდალური წოდება რუვისთაველნიც (ზ. ალექსიძე)...

აღნიშნული გვარწოდება ორი ფორმით დასტურდება:

ა) რუსთაველი - სრული ფორმა დოკუმენტურად ანტონ კათალიკოსის დროიდან დამკვიდრდა;

ბ) რუსთველ- ფორმას უფრო ძველი ტრადიცია აქვს. მისი წყაროა, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი: „მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...“ ხოლო მეორე მხრივ, წარწერა ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, რომელიც რეალურად შემდეგი სახით იკითხება: როსთვლი.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ამის საფუძველზე რუსთველი ფორმით მოიხსენიებდნენ: თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილი, იოსებ ტფილელი, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ტიმოთე გაბაშვილი...

გვარწოდების ამ ვარიანტის კანონიერებას ასაბუთებდა აკაკი შანიძე.

აკადემიურმა გამოცემებმა საბოლოოდ დაამკვიდრა სრული ვარიანტი – რუსთაველი (მიუხედავად ტექსტის დამდგენი კომისიის რამდენიმე წევრის – ა. შანიძე, ალ. ბარამიძე – წინააღმდეგობისა).

ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ორი არგუმენტი ლაპარაკობს:

1. რუსთველი ორივე ადრეულ წყაროში საეგებოა: ა) პროლოგის სტროფის ავტორისეულობა ეჭვქვეშ დგას და ბ) ფრესკის წარწერის რუსთვლი აშკარად დაქარაგმების მაგალითი ჩანს.

2. ამოსავალი ტოპონიმი კომპოზიტია: რუ-ის-თავ-. მასალის მიხედვით, არც თავ- ფუძე -ელ სუფიქსის წინ და არც -ავ-ელ მორფონოლოგიური სეგმენტი კუმშვას არ განიცდის: იქნება ხიდისთავ-ელ-ი, გოდავ-ელ-ი (და არა – ხიდისთველი, გოდგელი).

რუსთველი ისეთივე ხელოვნური ფორმაა, როგორიცაა კიდევ ერთი კუმშვის მაგალითი ამ სახელის გამოყენებაში: "ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში..."

ამდენად, რუსთაველი კანონზომიერი ფორმაა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შეკუმშული ფუძით დამკვიდრდა ეს სახელი მისგან წარმოქმნილ ტერმინებში: რუსთველოლოგი, რუსთველოლოგია, რუსთველოლოგიური.

რუსთაველმა ერთი განუმეორებელი კომპოზიტი შექმნა თავისი რჩეული გმირის დასახასიათებლად. ტარიელის პოვნის შემდეგ თინათინთან დაბრუნებული ავთანდილი მიჯნურთან საუბრის დასასრულს ასეთი ეპითეტებით არის შემკობილი:

„ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი..."

მკვლევრებმა, ცხადია, შენიშნეს, რომ ამით ავტორმა უნებურად გაამჟღავნა თავი: მისთვის არაბი ჭაბუკი მაინც ქართველია (ტკბილი ქართულით მეტყველი)! არანაკლებ მნიშვნელოვანი კი ის არის, თუ რა ღირებულებითი კატეგორიებით აფასებს პოეტი ქართული ენის ბუნებას და ამ სიმდიდრის ისეთ უნაკლო მატარებელს, როგორიც ავთანდილია.

„ტკბილქართული" – ეს უნიკალური კომპოზიტი – მართლაც საოცრად შეესატყვისება თვით „ვეფხისტყაოსანსა" და მის ავტორს.

რვა საუკუნეზე მეტია, ეს ტკბილქართული ჯადოსნურ წყაროსავით მოედინება ათას ჭირნახად საქართველოში და მუდმივად ანედლებს, სიცოცხლის ძალას ანიჭებს ჩვენს ეროვნულ სიტყვიერ ხელოვნებას.

სიბრძნე - თანამდევი საუკუნოდ

ათასწლეულებმა გამოცადეს რუსთაველის ქართულის, მისი სიტყვისა და ლექსის უკვდავება. „რუსთველი სიბრძნის ტბა არისო", – ბრძანა არჩილ მეფემ და მართლაც ამოუწურავი, უშრეტი აღმოჩნდა ის ზღვა თუ ოკეანე, რომელსაც გენიოსი პოეტი თითქოს ერთი ამოსუნთქვით ქმნიდა. პოემა ესოდენ შთამბეჭდავ ამბავს უყვება მკითხველს, მაგრამ ყოველი ფრაზა ისეა ნაჭედი, თითქოს მხოლოდ შეგონებითი და აფორისტული დატვირთვა ჰქონდეს, თითქოს სიბრძნის ფორმულებად იყოს ჩამოსხმული. ამიტომაც გაითავისა ყველა დროისა და ყველა სოციალური კატეგორიის ქართველმა ეს სიბრძნის წყარო. არაერთი გადმოცემა არსებობს, როგორ იყენებდნენ ამ ელვარე სტრიქონებს ლაღობისა თუ სერიოზული პაექრობის, სმურობისა თუ საყოველდღეო დიალოგის დროს... პირადად მეც მოვსწრებივარ წერა-კითხვის არმცოდნე, მაგრამ საოცრად წიგნიერ ქალბატონს, რაკი მან „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა. მაგრამ იყენებდა ამას იგი თავისებურად: გაბმით კი არ ჰყვებოდა თავებსა და ეპიზოდებს, თითქმის ყოველ სიტყვაზე შესაბამისი ციტატის ჩართვით გადაუხვევდა საუბარს... ეს გადახვევა დიალოგს აფერხებდა, მაგრამ იმ პოეტურ საზოგადოებაში ეს არავის ეხამუშებოდა, პირიქით, აადვილებდა და ათბობდა ურთიერთობას...

ამ სიბრძნეს, როგორც ჩანს, ლოცვის ძალა აქვს, რომელსაც არა მხოლოდ შეიცნობს (შეიმეცნებს), არამედ გულისგულში შეიგრძნობს ადამიანი...

ეს სიბრძნე საუკუნეობით მკვიდრდებოდა ქართველის ცნობიერებაში:

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?
არვის ძალუც ხორციელსა განვებისა გარდავლენა.
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!
არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჯავესი წმახისა.
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-ცხვედების.
გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
გასტენს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ლბილისა.
გონიერსა მწყრთული უყვარს, უგუნურსა გულთა ჰვმირდეს.
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თვისა მტერია.
ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითც დაშავდების.
თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.
კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების!
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა სვადია.
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.
მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა!
მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.
ოდეს კაცსა დაეკიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.
რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!
რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა,
რა მისჯირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.
ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჯირსა არ დამრიდად,
გულის მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.
ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!

გამოკრებილი ბიბლიოგრაფია

1. ზ. ავალიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, პარიზი, 1931.

2. გ. არაბული, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემები, თბ. 2004.

3. თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გამოსცა გ. იმედაშვილმა, თბ. 1960.

4. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ. 1966.

5. დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1954.

6. ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის, ენიმკის მოამბე, III, 1938.

7. ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ. 1956.

8. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991.

9. ა. გაწერილია, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ. 1938.

10. ა. გაწერელია, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ. 1974.

11. ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ. 1975.

12. მ. გუგუშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის საკითხისათვის, თბ. 1958.

13. მ. დუდუჩავა, შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნააზრევი, თბ. 1966.

14. თ. ერისთავი, „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება. – ჟ. „განთიადი'', №1, 1988.

15. თ. ვასაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონცეფცია, თბ. 2003.

16. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ. 1956.

17. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, რედაქტორები: მ. ჭაბაშვილი და ალ. ჭინჭარაული, თბ. 1973.

18. ხ. ზარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია, თბ. 2002.

19. მ. თაბორიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი, თბ. 2000.

20. მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საიდუმლოებანი, თბ. 2000.

21. გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ. 1979.

22. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წწ., თბ. 1957.

23. გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ. 1968.

24. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ. 1963.

25. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, ტფ. 1926.

26. ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ. 1966.

27. მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაცია, თბ. 1977.

28. გ. კარტოზია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ. 1975.

29. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1924.

30. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, კრებული შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, თბ. 1971.

31. ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ. 1961.

32. Н. Я. Марр, Древнегрузинские одописцы, ТР. IV, 1902.

33. Н. Марр, Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре"..., ИАН, 1917.

34. ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს მ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ, თბ. 1965.

35. პ. მარგველაშვილი, რუსთაველის მსოფლმხედველობა, თბ. 2008.

36. მ. მახათაძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თბ. 1966.

37. ლ. მენაბდე, რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ. 1990.

38. მეტრი და რიტმი „ვეფხისტყაოსანში“, გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ. 1973.

39. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1962.

40. ნ. ნადირაშვილი, რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი, თბ. 1978.

41. გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, 1958.

42. ვლ. ნორაკიძე, ადამიანობის იდეა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1966.

43. ნ. ნათაძე, რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, თბ. 1966.

44. ნ. ნათაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მოტივები, თბ. 1985.

45. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ბუენოს-აირესი, 1953.

46. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.

47. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1959.

48. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958.

49. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეყველება, პარიზი, 1963.

50. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1975.

51. ვ. ნორაკიძე, ადამიანის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1966.

52. შ. ნუცუბიძე, რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, თბ. 1961.

53. შ. ნუცუბიძე, Творчество Руставели. Тб., 1958.

54. შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1982.

55. რ. პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები. – კრებ. „მრავალთავი“, 5, თბ. 1975.

56. პ. რატიანი, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, თბ. 1975.

57. ალ. სარაჯიშვილი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, „მოამბე“, 1895, XI.

58. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ. 2002.

59. ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ. 1977.

60. რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის, თბ. 1987.

61. ალ. ფოცხიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სადაო საკითხის გარშემო, თბ. 1991.

62. დ. ქუმსიშვილი, რუსთველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1968.

63. შ. ღლონტი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1968.

64. ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ. 1959.

65. ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები. – თხზულებანი, II, თბ. 1966.

66. ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები. – ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ. 1956.

67. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. – კრებ. „შოთა რუსთაველი,,, თბ. 1966.

68. ა. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, III, 1938.

69. მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ. 1966.

70. Д. Чубинашвили, О грузинской песне Вепхис-Ткаосани или Барсова Кожа, ქართული ქრესტომათია, II, 1846.

71. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, I-II, თბ. 1970-1971.

72. ალ. ჭინჭარაული, „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები, თბ. 1982.

73. კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, თბ. 1925.

74. კ. ჭიჭინაძე, რუსთაველი და მისი პოემა, თბ. 1960.

75. შ. ხიდაშელი, რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 1981.

76. ა. ხინთიბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან, თბ. 1969.

77. ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1975.

78. ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1993.

79. ე. ხინთიბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბ. 2009.

80. ს. ხუნდაძე, შოთა რუსთაველი, ქუთაისი, 1922.?

81. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ. 1956.

82. მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1896.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმის მაგიერ 5
ორი ქვეყნის იგავი – მიზანი და შედეგი 7
სად მთავრდება ისტორია და სად იწყება ლეგენდა? . .10
„ვეფხისტყაოსნის“ იდეური და კომპოზიციური ქარაგმა 20
ხალხის სიყვარულით ნაგვირისტები 31
გარდამთქმელთა ნამოღვაწარი 43
ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად 51
მკვიდრი კავშირი წარსულსა და მომავალს შორის . . .62
სიბრძნე – თანამდევი საუკუნოდ 72
გამოკრებილი ბიბლიოგრაფია 74

სერიით
„ცისცინათელას“ ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა:

1. „შეგონებანი“ – ქართველ მწერალთა, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამები

2. „ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხები“

3. „ჩემო ლამაზო დედაო“ – დედისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ლექსები

4. „ქართული თქმულებები“

5. ნოდარ შოშიტაშვილი, დავით ნინიძე – ქართული სამეფო დინასტიები“

6. „სამახსოვრო“ – განმარტებულია ქრისტიანული სწავლების ათი მცნება, საუბარია, როგორ უნდა მოიქცეს ყმაწვილი საზოგადოებრივ ადგილებში – ქუჩაში, ტრანსპორტი და ა. შ.

7. ვახტანგ გოილაძე – „ქართველთა განმანათლებლები“ – ავტორი გვესაუბრება ქართველთა განმანათლებლებზე, იმათზე, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და დამკვიდრებას.

8. აკაკი ბრეგაძე – „ორი ფალავანი“ – ზღაპრები, მოთხრობები პიროვნების ღირსებაზე, სულიერ სიწმინდეზე.

9. გიორგი გოგოლაშვილი – „დედაენის“ თავგადასავალი.

10. მედეა წოწელია – „ქართული ფული“. წიგნი მოგვითხრობს ქართული ფულის თავგადასავალს დასაბამიდან დღემდე.

11. ბეჟან ხორავა – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. ავტორი გვიამბობს იმ პერიოდის შესახებ, როცა საქართველოს სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

12. ლევან ფრუიძე – „ქართული ვაზი და ღვინო“. წიგნი მოგვითხრობს საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლოზე და ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობის დღემდე შემორჩენილ უძველეს ტრადიციებზე.

13. იზაბელა სხირტლაძე – „ქართული ფუტკარი“. ავტორი მოგვითხრობს ქართული ფუტკრის ღირსებებზე, რომელთა გამოც მან საერთაშორისო გამოფენებზე სამი ოქროს მედალი დაიმსახურა.